გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N35 (9286) 21 დეკემბერი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

სტიქიის შედეგები დროულად აღმოიფხვრა

აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

2

პრეზიდენტი ავირჩიეთ, ახალი კონსტიტუცია ამოქმედდა, საქართველო საპარლამენტო მმართველობის ქვეყანაა

3

9 საუკუნის წინანდელი საქართველოს მაჯისცემა

ვის და რატომ ავირჩევდი სამტრედიის საპატიო მოქალაქედ? 3

4 სამტრედიის სალოტბარო სკოლის მიღწევები თვალსაჩინოა

“რომ ვუთხარით, ზვიადის გვარდიის წევრები ვართ-თქო, თან შერცხვათ, თან აცრემლდნენ” 5

საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ 26 საკითხი განიხილა

რიგგარეშე სხდომა გამართა 12 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა.

დღის წესრიგის დამტკიცების პროცედურამდე, საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს სახელით კიდევ ერთხელ მიულოცა საკრებულოს წევრობა ბატონ აკაკი მინაშვილს, (აკაკი მინაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ამ დღეებში ვიუწყებოდით).

განხილულ საკითხთა შორის საინტერესო და ყურადღებამისაქცევი იყო საკითხი, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილებას "მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის შესაბამის განკარგულებაში.

მთელი რიგი კატეგორიის მოქალაქეებზე, წინასაახალწლოდ გათვალისწინებულია გარკვეული დახმარებები, (შეღავათები), რომელთა შესახებაც ზუსტი ინფორმაციის მიღება მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურშია შესაძლებელი.

დღის წესრიგში არსებული განსახილველი საკითხებით დახუნძლულმა საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ, შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო და საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

ძირითადი მომხსენებელი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი შალვა არზუმანიანი გახლდათ.

ლევან გაბეჩავა

სტიქიის შედეგები დროულად აღმოიფხვრა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტები უმოკლეს ვადაში აღადგინეს. მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ზურაბ გოგიამ რამდენიმე ასეთი ობიექტი მოინახულეს. სრულიად გადახადა ქარმა სახურავი ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე მესამე ბაგა-ბაღს, დროულად მოხდა მისი გადახურვა, სამუშაოები "გია და კომპანიამ" შეასრულა. მესამე ბაგა-ბაღის მმართველი, მზია ვაშაკიძე: "ქარმა ნახევარ შენობას გადააძრო სახურავი, მაგრამ სააღმზრდელო პროცესის პარალიზება არ მომხდარა, ხელი არაფერზე შეგვშლია. ქარსა და წვიმაში მუშაობდნენ, ამ კომპანიის ძალიან დიდი მადლობელი ვარ." მომდევნო ობიექტი, სადაც ასევე ქარისგან დაზიანებული სახურავის შეკეთდა ნიკო ნიკოლაძის სახელობის ჯიხაიშის აგრარული კოლეჯია. სოფელ დიდ ჯიხაიშშივე მოინახულეს მანანა ვაშაკიძის ოჯახი, სადაც ასევე მოხდა დაზიანებული სახლის სახურავის გადახურვა.

ვალერიანე ფოცხვერია: "სტიქიამ დაზიანა როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, ისე კერძო სახლებიც, ჩვენ ორივე მიმართულებით დროული რეაგირება მოვახდინეთ. თანხა გამოიყო ადგილობრივი მერიის სარეზერვო ფონდიდან. დახმარებისთვის ასევე მივმართეთ სტიქიის სახელმწიფო ფონდს. შესრულებული სამუშაოები ანაზღაურდება, დაახლოებით 269 ათასი გაიხარჯება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტიდან."

დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგრარული კოლეჯის დირექტორი, ნუგზარ მიქაძე: "29 -30 ნოემბერს გრიგალმა დაზიანა ჩვენი სასწავლებლის ძირითადი კორპუსი, იგი სახურავის გარეშე დარჩა. დილით სასწრაფოდ დავუკავშირდით სტიქიის შედეგად შექმნილ ოპერატიულ შტაბს, მოხდა დროული რეაგირება. მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა და შენობის გადახურვაში დაგვეხმარა. ველოდებით ისეთ ცვლილებას, რაც ყველას გაახარებს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის ინიციატივითა და თაოსნობით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ჩვენს სასწავლებელში იქმნება ინოვაციური სამეწარმეო კოლეჯი, რომლის ანალოგი არის მხოლოდ ამერიკაში."

ალექსანდრე ლეჟავა, დიდ ჯიხაიშში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობის სპეციალისტი: "მთლიანად გადააძრო ქარმა მოქალაქე მანანა ვაშაკიძის ოჯახს სახურავი. დროულად შეფასდა ზარალი, გამოიყო თანხა. ოჯახს გამოუგზავნეს შენობის სახურავი, ოჯახმა კი, თავისი ძალებით გადახურა. ოჯახმა გამოთქვა კმაყოფილება როგორც მერიის, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ".

ვალერიანე ფოცხვერია დღის ბოლოს ასევე შეუართდა მეოთხე ბაგა-ბაღში (მმართველი ნანა დუნდუა) ერთ-ერთ საზეიმო ღონისძიებას, მან პატარებს დამდეგი ახალი წლის მობრძანება მიულოცა და მონაწილეობა მიიღო საჩუქრების დარიგებაში. პედაგოგ მარინა კაკაბაძის აღსაზრდელებმა ის მათ მიერვე დამზადებული საახალწლო აქსესუარით დაასაჩუქრეს.

აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებულ ობიექტებზე აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. ნოემბრის ბოლო დღეებში დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებულმა ძლიერმა ქარმა იმერეთის სერიოზული ზარალი მიაყენა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში. სტიქიამ სამტრედიაში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი სახურავის გარეშე დატოვა, დაზიანა ელექტრო ხაზები და გაანადგურა ხე-ნარგავები.

ვალერიანე ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: "სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები ჩვენმა მუნიციპალიტეტმა რამდენიმე დღის წინ დაიწყო. ძლიერმა ქარმა დიდი ზარალი მოგვაყენა. ქალაქისა და სოფლების ტერიტორიებზე 4 სამშენებლო ბრიგადა მუშაობს. ჩვენ დავდივართ, ვნახულობთ მუშაობის პროცესს და ადგილობრივი მოსახლეობის აზრს ვისმენთ".

15 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ თამარ თავაძის ქუჩაზე 60 ნომერში მდებარე საერთო საცხოვრებელი მოინახულა. ყოფილი გეოლოგების ორსართულიან შენობაში ამჟამად 6 სოციალურად დაუცველი ოჯახი ცხოვრობს. წარსულში ავარიულ შენობას ნოემბრის ძლიერმა ქარმა სახურავი თითქმის მთლიანად გადახადა, ნალექის დროს შენობაში ისე წვიმდა, როგორც გარეთ.

დაზარალებული: "ამ შენობაში ყველა გაჭირვებული ოჯახი ცხოვრობს. მათ შორის ვართ ჩვენც. არც აქამდე გვქონდა ნორმალური საცხოვრებელი პირობები, მაგრამ სტიქიამ უარესი დაგვმართა, უსახურავოდ დაგვტოვა. წვიმის დროს ოთახებში გაჩერება არ შეიძლებოდა. ყველაფერი გაგვინადგურდა. მივმართეთ მერიას, მოგვაქციეს ყურადღება. გვიხურავენ სახლს. მადლობის მეტი რა გვეთქმის".

რამდენიმე ობიექტზე სამტრედიაში სარეაბილიტაციო სამუშაოებს 4 საამშენებლო ორგანიზაცია აწარმოებს. სარეზერვო ფონდიდან ჯერ მხოლოდ 24 000 ლარი გამოიყო. 2018 წლის ნოემბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტს სულ 245 000 ლარი აქვს მოთხოვნილი.

პრეზიდენტი ავირჩიეთ, ახალი კონსტიტუცია ამოქმედდა, საქართველო საპარლამენტო მმართველობის ქვეყანაა

ლევან გაბეჩავა

1991 წლის ივნისში დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საზეიმოდ დადო ფიცი ღვთისა და ერის წინაშე. ბედის ირონიითა და ქართველური გაუტანლობის "წყალობით" ნარეკლიანი აღმოჩნდა ერის გულმხურვალე ჭირისუფლის, ზვიად გამსახურდიასთვის პრეზიდენტობის პერიოდი.

1995 წელი, უკვე ყოფილი სსრკ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტის რანგში ფიცს დებს და შესაბამისად, პრეზიდენტი ხდება.

2000 წელს ედუარდ შევარდანაძე მეორე ვადით იქნა არჩეული საქართველოს პრეზიდენტად. ქვეყანაში გაიფურჩქნა ელიტური კორუფცია, გაუსაძლისი გახდა სოციალური ყოფა.

3 წლის შემდეგ ვარდების რევოლუცია მოხდა და შევარდნაძე გადადგა.

2004 წლის 25 იანვარს საქართველოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი დებს საზეიმოდ საპრეზიდენტო ფიცს.

2008 წლის იანვარში მიხეილ სააკაშვილმა კვლავ წარმოთქვა ფიცი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით და კვლავ პრეზიდენტი გახდა.

2013 წლის ნოემბერში საპრეზიდენტო ფიცი გიორგი მარგველაშვილმა დადო.

და აი, 2018 წლის 16 დეკემბერი.

ერეკლეს სამკვიდრო ქალაქ თელავში, საქართველოს რიგით მეხუთე და პირველმა ქალმა პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, საპრეზიდენტო ფიცი საზეიმოდ წარმოთქვა.

მართალია, საყოველთაოდაა ცნობილი ქართველური "კუდაბზიკობა", სტუმარს ბევრად უფრო კარგად დახვდეს, ვიდრე ყოველდღიურად ცხოვრობს, მაგრამ ათასგზის გაცხადებულის მიუხედავად, რომ მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაცია სადად ჩატარდებოდა, ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, საკმაოდ (თუ საკმაოზე მეტად არა) პომპეზურად ჩატარდა. ქვემეხებიდანაც გავისროლეთ, მრავალჟამიერიც ომახიანად დავაგუგუნეთ და თელავიდან პირდაპირი ტრანსლაციის დასრულების შემდეგ, ინაუგურაციის მსვლელობას რომ გადმოსცემდა, ვახშმად, ჯერჯერობით მხოლოდ 10 თეთრით(?!), გაძვირებულ პურს შევექეცით.

თემა გაგვექცა, "გვაიმედებენ" პურის ფასები თებერვლიდან კვლავ გაიზრდებაო, ბოლო სამ თვეში ფქვილი 14 ლარით გაძვირდაო და ა. შ.

პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე საქართველოში ახალი კონსტიტუცია ამოქმედდა. რომელიც, როგორც კონსტიტუციონალისტები გვარწმუნებდნენ, უფრო ევროპული, ხალხზე ორიენტირებული და სიღრმისეული დოკუმენტია.

საკანონმდებლო აქტების თანახმად იზრდება პრემიერის უფლებები, ასევე მთავრობაზე საპარლამენტო ზედამხედველობის ფუნქციები. სამაგიეროდ, პრეზიდენტს ეზღუდება მთელი რიგი უფლებებისა...

50 ქვეყნის ათასზე მეტ ოფიციალურ პირს უმასპინძლა საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარე ინაუგურაციაზე საქართველომ.

ქვეყანას ახალი, მეხუთე და პირველი ქალი პრეზიდენტი ჰყავს.

საქართველოს უახლეს ისტორიაში კიდევ ერთი ახალი ფურცელი იწერება, როგორ შევა იგი მატიანეში?

აი, კითხვა და კიდევ, როგორ ვიცხოვრებთ ჩვენ, ხალხი, ხვალ, ზეგ, სამერმისოდ?

გაგრძელდება კვლავ პოზიცია-ოპოზიციას შორის მტყუან-მართლის უსასრულოდ ძიება, თუ ვიქნებით მოწმენი ქვეყნის აღმშენებლობისა?

...

წინასაარჩევნო, წინასაინაუგურაციო პერიოდმა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი განზე გადაგვადებია.

ახლა კი დროა მოქმედებისა...

უფალმა ინებოს უახლესი პერიოდი წარმატებული იყოს არა მარტო პრეზიდენტისა და მისი გარემოცვისათვის, არა მხოლოდ ძლიერთა ამა ქვეყნისათათვის, უბრალო ადამიანებისთვისაც.

ვის და რატომ აირჩევდი სამტრედიის საპატიო მოქალაქედ?

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გერბი

ლევან გაბეჩავა

შემოდგომაზე დაანონსებული სახალხო დღესასწაულები "ნიკოობა", "სამტრედიობა", ჯერჯერობით არ ჩატარებულა, შესაბამისად, არ მომხდარა საპატიო სამტრედიელთა (ხუთეულის) არჩევაც.

იმის მიუხედავად, ვისთვის საინტერესო, ვისთვის კი უინტერესო იქნება ჩემი აზრი, გამოხატვის თავისუფლებით აღჭურვილმა მსურს ის ხუთეული დავასახელო, ვისაც სიამოვნებით ავირჩევდი საპატიო სამტრედიელად.

მშენებელი ინჟინერი ბატონი **ანტონ გეგეშიძე,** რომლის დაპროექტებულ-აგებულია ჩვენი რაიონის (და არა მარტო) მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი, მათ შორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, ბატონი ანტონი არჩეულია საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრად. მისი საგაზეთო ნარკვევები, დიახაც რომ, საყურადღებო და გასათვალისწინებელია...

დავით აღმაშენებელის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის უფროსი, ბატონი **ჯონი ნადირაძე**, კაცი, რომელმაც შესანიშნავი მაგალითი მოგვცა მის თანამედროვეთ, მომავალ თაობებს, თუ როგორ სუფთად უნდა იცხოვრო ადამიანმა.

ღვაწლმოსილი ინჟინერი, ბატონი **რევაზ შამათავა**, აბაშელი კაცი, 6 ათეული წელია რომ მოღვაწეობს სამტრედიაში და დიდი წვლილი შეაქვს რკინიგზელთა ქალაქის ზრდა-განვითარებაში, ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი, რომელსაც შეუძლია სხვათა ნიჭის, მიღწევის, წარმატების აღიარება...

ქალბატონი **ზაირა გრიგოლია**, ღვაწლმოსილი ქალბატონი ერთგულ მეციხოვნედ რომ დგას შემართებით და დავიწყებას არ ანებებს სახელოვან წინაპართა კეთილ საქმეებს. მისი წყალობით ბევრი მნიშვნელოვანი (ისტორიული) ფაქტი, ამბავი გახდა საცნაური მომავალი თაობებისათვის, საზოგადოებისათვის.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი წიგნის ავტორი, პროფესორი, ბატონი **ვაჟა თვალავაძე**, რომელიც, ჩემის აზრით, უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს სამტრედიელებისგან.

თითოეულის შესახებ გაცილებით მეტის თქმა შეიძლება, მაგრამ ამჯერად აქ ვჩერდებით.

კარს მომდგარ შობა-ახალ წელს ვულოცავთ თითოეულს, ყველა სამტრედიელს და ოჯახურ ბედნიერებას ვუსურვებთ ახლობლებთან, ოჯახთან ერთად.

ქალაქი საახალწლოდ ირთვება

სამტრედიის ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა სადღესასწაულო სამზადისს შეუდგა. კერძოდ, ცენტრალურ ქუჩებზე საახალწლო განათებების მოწყობა ხორციელდება. მასალა შეიძინა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ, ხოლო სამუშაოები, ააიპ-ი სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების გარე განათების ქსელების მომსახურების განყოფილებამ შეასრულა (ხელმძღვანელი კობა ბიბილეიშვილი და ალექსანდრე კლარჯეიშვილი).

განათების მოწყობის სამუშაოები დარშიც და ავდარშიც ინტენსიურად მიმდინარეობს. კომუნალური გაერთიანების თანამშრომლები დატვირთულ რეჟიმში საქმიანობენ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას საახალწლო ნაძვის ხის შეძენაზე დამატებითი ტენდერი აქვს გამოცხადებული. როგორც გვეუბნებიან, საახალწლოდ მოირთვება ეგრეთ წოდებული ქუთაისის გზაგამტარი ხიდი, რუსთაველის, რესპუბლიკის, ჭავჭავაძის, გენო გეგეშიძის, თამარ მეფის, მანჯგალაძის, რობაქიძის ქუჩების გარკვეული მონაკვეთები, ასევე ვაგზლის მიმდებარე ტერიტორია და ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანი.

ნინო ნანიტაშვილი

საერთაშორისო აღიარება

სასიამოვნო და ერთობ სასიხარულო ამბავი გვამცნო ამ დღეებში მედიამ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია მეორეს ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ საყოველთაო აღიარების ჯილდო გადასცა.

აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი ჯერ-ჯერობით, პირველი და ერთადერთია მსოფლიოს სასულიერო პირთა შორის, ვისაც ეს მაღალი ჯილდო გადაეცა.

"რა თქმა უნდა, დიდი აღიარებაა და სამართლიანიც. თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით მისი უწმინდესობა ნამდვილად იმსახურებს ყოველივე საუკეთესოსა და საპატიოს. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ ჩვენს პატრიარქს, დაე მისი ლოცვა-ქადაგება შეგვეწიოს გაგვეთავისებიოს თითოეულს". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ.

"გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე და მოხედე ვენახსა ამას, და განამტკიცე ნაყოფი ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან..." ლოცვას აღავლენს პატრიარქი საქართველოსი.

დღეგრძელი იყოს მისი უწმინდესობა და უნეტარესობა.

...

25 დეკემბერს 41 წელი სრულდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრებიდან.

ლევან გაბეჩავა

სამტრედიის სალოტბარო სკოლის მიღწევები თვალსაჩინოა

ნათია ნაცვლიშვილი

რამდენიმე წელია, ჩვენს მუნიციპალიტეტში ლოტბარი ბესიკ მახათაძე ხალხურ სიმღერებს და ქართულ ტრადიციულ საეკლესიო საგალობლებს შეასწავლის არამარტო ბავშვებს, არამედ, სამტრედიის საკათედრო ტაძრის მგალობლებსაც. მან 2011 წელს დაასრულა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი. საპატრიარქოს გალობის ცენტრის ინიციატივით და მეუფე საბას მხარდაჭერით, სამტრედიაში იმავე წელს ჩამოყალიბდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის გუნდი. ეს იყო გალობის ცენტრის ინიციატივა და მეუფე საბას ინტერესი და მზაობა, მუნიციპალიტეტში მგალობელთა გუნდი ჩამოყალიბებულიყო. გუნდი დღემდე აგრძელებს საკათედრო ტაძარში გალობას და ასრულებს ქართულ ტრადიციულ საგალობლებს.

ბესიკ მახათაძე: "2011 წელს მე თავად ჩამოვაყალიბე ეს გუნდი. მეუფემ და მღვდლებმა მრევლში გამოაცხადეს, რომ ვაპირებდით გუნდის შექმნას და ვეძიებდით ნიჭიერ ახალგაზრდებს. შევარჩიეთ და 10 ადამიანისგან შეიკრა მგალობელთა გუნდი. ორი წელი დავდიოდი გალობის ცენტრის პროექტის ფარგლებში და შევასწავლიდი საგალობლებს. 2 წლის თავზე გუნდმა შეისწავლა წირვა-ლოცვის საგალობლები და ამით დასრულდა პტროექტი. შემდეგ 2017 წელს, სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის, გია მიქელაძის და სამტრედიის მერის მხარდაჭერით, გუნდმა განაახლა შემოქმედებითი მუშაობა. ძირითადი აქცენტი ხალხური სიმღერის შესწავლაზე გადაიტანა. 2018 წლის ნოემბერში გუნდი სოლო კონცერტით პირველად წარსდგა მსმენელის წინაშე ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში. კონცერტს ესწრებოდნენ ფოლკლორის ცენტრის დირექტორი, გიორგი დონაძე და სხვა ცნობილი ლოტბარები. 2018 წლის მარტში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით, სამტრედიაში გაიხსნა სალოტბარო სკოლა, სკოლაში სწავლება ბავშვებისათვის სრულიად უფასოა, რასაც უზრუნველყოფს ეს ცენტრი. ასევე, სხვადასხვა საკითხებში გვეხმარება სამტრედიის მერი და ადგილობრივი ხელისუფლება, რისთვისაც მათ გვინდა მადლობა გადავუხადოთ. სკოლაში სწავლობს 30-მდე ბავშვი, რომლებმაც თავიანთი სურვილით მოგვმართეს. მსურველებს შეუძლიათ შემოგვიერთდნენ, მეცადინეობა მიმდინარეობს ყოველ ოთხშაბთს და ხუთშაბათს სამ საათზე."

სკოლის მოსწავლეთა ასაკი 12 წლიდან იწყება, მათ შორის ყველაზე უფროსი 22 წლისაა. 2018 წლის ნოემბერში სამტრედიის სალოტბარო სკოლას ჰქონდა საანგარიშო კონცერტი, რომელიც ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გაიმართა. ბავშვებმა შეასრულეს 4 ხალხური სიმღერა "იმერული მგზავრული", "იმერული ლაშქრული", "ბებიელა", "იმერული ალილო" და ოთხი ტრადიციული საეკლესიო საგალობელი : "აღდგომასა შენსა", "მოვედით თაყვანი ვსცეთ", "ჯვარსა შენსა" და "მამაო ჩვენო". ცენტრის დირექტიორმა დადებითად შეაფასა ბავშვების ნამღერი, ამ სკოლის მიზანია, ბავშვების ჩამოყალიბება მომავალ ლოტბარ-რეგენტებად, რომლებიც უმაღლეს განათლებას მიიღებენ გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში. მეცადინეობები ტარდება დომენტი შანიძის მუსიკალური სკოლის დარბაზში, რისთვისაც ბესიკ მახათაძე მადლობას უხდის მის დირექტორს, ქალბატონ ირმა შანიძეს.

სამტრედიაში ფიტნეს-კლუბი გაიხსნა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიაში პირველი ფიტნეს-კლუბი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. წითელი ლენტი ბიზნესმენმა ნატალია კვანტალიანმა და სამტრედიის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ ერთობლივად გაჭრეს. სისხლის ბანკისა და სასტუმრო "დავითის" შემდეგ, ეს ბიზნესმენი ქალბატონის უკვე მესამე პროექტია! სულ ახლახან სისხლის ბანკი საპატიო ჯილდოთი დაჯილდოვდა. სერტიფიკატი სისხლის ბანკის ხელმძღვანელ ლაშა კვანტალიანს გადაეცა. სწორედ ამ თემით დაიწყო "სამტრედიის მაცნესთან" საუბარი ნატალია კვანტალიანმა:

"სამტრედიის ყველა მოქალაქეს, ჩვენს ყველა დონორს მინდა მივულოცო ეს წარმატება. საქართველოში ერთი დონაცია სამი გადარჩენილი სიცოცხლეა! ბატონი ვიქტორ სურმავა არის სისხლის ბანკის სამედიცინო დირექტორი. ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ კვალიფიციურ კადრებზე. აქ არიან გამოცდილი და ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც თავდაუზოგავად ემსახურებიან თავიანთ პროფესიას. მათი დამსახურებაა ეს საერთაშორისო აღიარება. ყოფილი სპორტსმენი ვარ და დღეს ერთ-ერთი ლამაზი, მოკრძალებული კუთხე იხსნება. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში ხელს შევუწყობთ მოქალაქეებს. 30 წლის წინ აქ საყოფაცხოვრებო სახლი იყო განთავსებული. ორი თვეა, ფუნქციონირება დაიწყო სასტუმრომ, ჯერ სულ ოცი ნომერია. მანამდე შენობაში განთავსდა სისხლის ბანკი. იცით, ეს არის ჩვენი რაიონის და დასავლეთ საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბანკი. სასტუმროს ჩემი შვილიშვილის, დავითის სახელი ჰქვია. სამტრედიაში სისხლის ბანკი ჩემი დაფუძნებულია. თბილისში გვაქვს "ორენჯ ფიტნესი", აქ ფიტნეს კლუბს ვაფუძნებთ, ამ მიმართულებას სამტრედიაში ჩემი ბიძაშვილი ლაშა კვანტალიანი და ქეთი თევზაძე გაუძღვებიან. ასევე აქ იქნებიან ამ სფეროს სამტრედიელთათვის კარგად ნაცნობი სპეციალისტები".

ვიქტორ სურმავა: "სისხლის ბანკის ტრადიცია აქვს სამტრედიასა სასიამოვნოა, რომ ამ ტრადიციის აღორძინებას შეუწყო ხელი ქალბატონმა ნატალიამ. სისხლი სიცოცხლისთვის აუცილებელია. მაგალითად, გუშინ გურიიდან მოგვმართეს და წაიღეს სისხლი. ჩვენ მოგვმართავენ საავადმყოფოდან და გავცემთ სისხლს."

იმედა გოგავა, სასტუმრო "დავითის" მენეჯერი: "სასიამოვნოა, რომ ამ პატარა ქალაქში იდგმება ნაბიჯები ცხოვრების გაუმჯობესებისკენ. დღეს გაიხსნა ფიტნეს-კლუბი. მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნატალია კვანტალიანს იმ ძალისხმევისათვის, რაც მან ჩადო ამ პროექტებში. დიდი ბიზნეს-გათვლები, ყოველ შემთხვევაში საწყის ეტაპზე, არ შეიძლება ჰქონდეს მას, მაგრამ, ვფიქრობ, ქალბატონი ნატალია არის სახე მოქალაქისა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანთა კეთილდღეობაზე, მათთვის კომფორტული გარემოს შექმნაზე. ასეთი ადამიანები ქმნიან ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს. მავანის თქმით, სასტუმროს თითქოს არ ექნებოდა დატვირთვა. ეს ბლეფია, სასტუმრო საკმაო დატვირთვით მუშაობს, მიუხედავად იმისა, ახლა სეზონი არ არის, იგი ცარიელი არასდროსაა. ამ ქალაქს აქვს ფუნქცია, გვჭირდება ხელების დაკაპიწება და შრომა."

მხატვრული ტანჯირშის სპეციალისტი, იური კორძაძე: ეს არის პირველი ფიტნეს-კლუბი. იგი იქნება საუკეთესო კომპლექსი მთელი სამტრედიისათვის. გავუწევ კონსულტაციას როგორც აქ მოსულ ქალბატონებს, ისე მამაკაცებს."

მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია: "ქალბატონმა ნატალია კვანტალიანმა დაიწყო სისხლის ბანკით, მერე მიება სასტუმრო, ახლა ფიტნეს-კლუბი. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ხორციელდება ინვესტიციები იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც საზღვარგარეთ მიაღწიეს წარმატებას. მერე უბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ მუნიციპალიტეტებს და ხელს გვიწყობენ მუნიციპალიტეტის განვითარებაში. ჩვენის მხრივ, მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს ბიზნესის განვითარებას. ქალბატონი ნატალია არ ჩერდება მიღწეულით და კიდევ აპირებს საკუთარი ბიზნესის გაფართოებას. ყოფილი ავტოსადგურის ტერიტორია ჯერ-ჯერობით კვლავ ცუდად გამოიყურება. იმედია, ის სულ მალე იერ-სახეს შეიცვლის, რაღაც აქვს ჩაფიქრებული ქალბატონ ნატალიას. ჩანაფიქრი არ გაგვიმხილა, იმედია, იქაც სერიოზული ბიზნეს-ცენტრი იქნება!"

“ეროვნული მოძრაობის ისტორია საქართველოში”

“რომ ვუთხარით, ზვიადის გვარდიის წევრები ვართ-თქო, თან შერცხვათ, თან აცრემლდნენ”

ნათია ნაცვლიშვილი

ჭიჭიკო გეფერიძე ააიპ სამტრედიის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურში მუშაობს, არის ვეტერანი მებრძოლი. მისი ბიოგრაფია ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენლების ბიოგრაფიის იდენტურია. ამ ადამიანებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მხარდაჭერა ძალზე ძვირად დაუჯდათ: გამსახურდიას და ეროვნული იდეის ერთგულების გამო მათ სახლებში უვარდებოდნენ, ოჯახს უწიოკებდნენ, დღისით ქუჩაში მიტინგზე ხვრეტდნენ! ვინ იცის, რამდენი ქვეყნისთვის თავდადებული ასეთი გმირის სახელი არ იცის შთამომავლობამ! ტყეღრეში ხეტიალს, დევნა-შევიწროვებას გადაურჩა ჩვენი რესპონდენტი, ბიჭიკო გეფერიძე, რომელიც უმძიმეს ისტორიებს ჩვენთან საუბარში გაიხსენებს...

_ როგორ დაუახლოვდით ეროვნული მოძრაობის ლიდერებს?

_ ვიცნობდი ალმასხან შენგელიას, რომლის ძმაც 1993 წელს მოკლეს, ასევე კარგად ვიცნობდი კობა ძიძიგურს. 1989 წელს სამტრედიაში მიმდინარე შიმშილობის აქციას შევუერთდი, რომელიც თბილისში დაიწყო. ამავე წლის ივნისში დავიწყეთ და შემდეგ შევწყვიტეთ შიმშილობა იმის გამო, რომ აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა. ჩვენთან ჩამოსულმა ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა, მერაბ კოსტავამ და ირაკლი ბათიაშვილმა გვითხრეს, რა დროს შიმშილობაა, აფხაზეთში ქართველებს უჭირთ და მათ უნდა დავეხმაროთო. პარალიზება მოხდა სამტრედიისა და სამეგრელოსი, დაახლოებით 40 000-მა ჩვენმა თანამებრძოლმა თავი ენგურის ხიდთან მოიყარა. ზუგდიდის სამხატვრო სახლში შტაბი შეიქმნა და იქიდან ხდებოდა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთათვის დახმარების გაწევა. ფაქტობრივად, შიშველი ხელებით, მაშინ თოფების მეტი არაფერი გაგვაჩნდა, მოხდა მილიციიდან იარაღის გამოტანა. იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა პირმა, გივი გუმბარიძემ, საქართველოს მოსახლეობიდან დაიწყო იარაღის ამოღება. ჩვენ სანადირო იარაღიც კი არ გაგვაჩნდა, ამავდროულად, აფხაზები იარაღით მარაგდებოდნენ. ზუგდიდში ვიმყოფებოდი 17- 18 ივნისამდე, მახსოვს, ჩვენი თანამებრძოლები, აფხაზების მოკლული სოხუმელი ბიჭები გადმოასვენეს.

_ როგორც ცნობილია, ხართ რკინიგზის გადაკეტვის აქციის მონაწილეც...

_ თანავუგრძნობდი ჩემს მეგობრებს. ამ აქციამ, ფაქტობრივად, პირველი მრავალპარტიული არჩევნების ბედი გადაწყვიტა და მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

1990 წელს ჩატარებულ “მრგვალი მაგიდის” არჩევნებში მონაწილეობა მაქვს მიღებული, დამკვირვებელი ვიყავი. ამ არჩევნებში ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა “მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო”. ჩვენი ხელისუფლების მოსვლის მერე მომიწია რუსეთში წასვლა, ქალაქ ადლერში მატარებლის გამცილებელი ვიყავი. ორი წლის მერე სამშობლოში ჩამოვედი. მეუღლე და ერთი შვილი მყავდა. უკვე შვილიშვილები მყავს.

_ რა სურათი დაგიხვდათ საქართველოში დაბრუნებულს?

_ რუსეთში მუშაობის დროს კავშირი არ გამიწყვეტია მშობლიურ სამტრედიასთან. ახლო ურთიერთობა მქონდა კობა და ზვიად ძიძიგურებთან, ზაზა კაჭახიძესთან, კობა ბიბილეიშვილთან, ზურიკო და რამაზ ჯინჭველეიშვილებთან, ლევან ახობაძესთან, ბიჭიკო ანთიძესთან, შმაგი სიხარულიძესთან, გოგიტა ალფაიძესთან, აწ გარდაცვლილ თამაზ ლომსაძესთან, თამაზ ესებუასთან, სულიკო ალფაიძესთან... 1991 წელს, კანონიერი ხელისუფლება რომ დაამხეს, დაიწყო ჩვენი არნახული დევნა- შევიწროება. მეუღლე აჭარიდან მყავს, მოგვიწია აჭარაში გახიზნა მთელს ოჯახს, დედ-მამა აქ დარჩნენ. 1993 წელს “მხედრიონი” სხვა ოჯახების მსგავსად ჩემს ოჯახსაც “ესტუმრა,” 65 წლის მამაჩემის წაყვანა სურდათ, მაგრამ მეზობლებმა არ დაანებეს. მისთვის უთქვამთ, შენს შვილიშვილებს თავებს დავაყრევინებდით, რომ გვენახაო. ისინი ნაღბიანები ყოფილან, დედამ ერთ-ერთი მათგანი ხმით ამოიცნო, თუმცა, გონებამახვილობა გამოიჩინა და მათთვის არაფერი უთქვამს. ამით გადაირჩინა თავი. 7 წელი სოფელ ახალშენში, ხელვაჩაურის რაიონში ვცხოვრობდით. 1993 წელს ბათუმის ბატალიონში (მეთაური ტრისტან ჩაგანავა) სულიკო ალფაიძის (სამტრედიის 24-ბატალიონის მეთაური) რეკომენდაციით ჩავეწერე. ვიყავი საბინაო-საექსპლუატაციო სამსახურის უფროსი. ბატონი სულიკო ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში და გვაწვდიდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციას. ითქვა, რომ ჩვენი ბატალიონი ანაკლიაში უნდა შეერთებოდა იქ ბაზირებულ კანონიერი ხელისუფლების ეროვნულ გვარდიას (გვარდიის გენერალი ლოთი ქობალია). სამტრედიის ბატალიონი შედიოდა გურია-იმერეთი-აჭარის პოლკში, რომელსაც შესანიშნავი პიროვნება, სოსო ჟღენტი მეთაურობდა. ანკლიაში ერთ წლამდე დავყავი.

_ როგორი იყო თქვენი ყოველდღიური დღის წესრიგი?

_ ჩვენ, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები ვაკონტროლებდით სამეგრელოს რაიონს, რომელიც არ ურიგდებოდა პუტჩისტებს, არაკანონიერ ხელისუფლებას. მოსახლეობა ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში იყო, ყველგან მომძლავრდა კრიმინალური ვითარება, მომრავლდნენ ძროხის ქურდები და ა.შ. ჩვენ რაც შეგვეძლო, მოსახლეობას მათგან ვიცავდით. იმდენად კარგი იყო მოსახლეობის განწყობა ჩვენდამი, საკვებითაც კი გვამარაგებდნენ. ანაკლიიდან რომ გავდიოდით, ჩვენს თანამოძმეებთან აბაშაშიც გაგვითევია ღამე.

_ არ გყავდათ მოწინააღმდეგეები?

_ ფაქტობრივად, არა, ისეთი დიდი სიყვარული ჰქონდა სამეგრელოს ზვიად გამსახურდიასი.

_ მიიღეთ მონაწილეობა ტამიშის აღების ოპერაციაში, სადაც შევარდნაძის, ჯაბა იოსელიანის და გამსახურდიას მომხრეები გვერდიგვერდ იბრძოდით?

_ დიახ, კანონიერი ხელისუფლების გვარდიის წევრებმა ტამიშზე ალყა გავარღვიეთ და გადავარჩინეთ დაახლოებით 80 კაცი, ისინი “მხედრიონელები” და ბატალიონ “ავაზას” ბიჭები იყვნენ. დაახლოებით 200-მდე “მხედრიონელი” დაიღუპა იქ იმ დღეს. ჩვენმა გადარჩენილმა მებრძოლებმა რომ გვკითხეს, რომელი ბრიგადის წევრები ვიყავით, რომ ვუთხარით ზვიადის გვარდიის წევრები ვართ-თქო, თან შერცხვათ და თან აცრემლდნენ, ჩვენ მათ სიცოცხლე ვაჩუქეთ! მერე შევარდნაძემ უკან დახევის ბრძანება რომ მოგვცა, ზვიადის გვარდიის წევრები დავბანაკდით გალის ტექნიკუმის ეზოში, სადაც გზა ტყვარჩელზე გადიოდა. ჩვენ იქ დავიკავეთ პოზიციები, მანამდე ეს პოზიციები ეკავა გალის სამხედრო დაჯგუფება “სამურზაყანოს”. ეს სამხედრო შენაერთი ჯაბას ემორჩილებოდა. რამდენიმე დღე იყო ორმხრივი სროლები, ერთი კვირა გავჩერდით, მერე გავიგეთ, მოხდა შევარდნაძის მიერ ჯარის გაყვანა. მოვიდა ხმები, სურდათ ზვიადისტები საზარბაზნე ხორცად დაეტოვებინეთ. ტყვარჩელის მისადგომებთან რომ ვიდექით, აგუბედიაში, ჩვენი ბიჭები ვიხვეწებოდით, გავეშვით წინ, ვიცოდით, რომ ტყვარჩელში აფხაზებისთვის ტყვია-წამალი მზადდებოდა. მაგრამ მთავარსარდლის, შევარდნაძის სიტყვა იყო: თუ ზვიადისტები წინ წავიდოდით, ჩვენივე სამხედროები, რომლებიც შევარდნაძეს ექვემდებარებოდნენ, იძულებული იქნებოდნენ, ჩვენთვის ცეცხლი გაეხსნათ. ამის მერე ენგურზე გადმოვინაცვლეთ, რადგან შეგვატყობინეს ჩვენმა თანამებრძოლებმა, რომ აპირებდნენ სამეგრელოს ხელში ჩაგდებას და ჩვენი კონტროლიდან გამოყვანას. ამ ვითარებაში ბევრი ხალხი მოდიოდა, ჭუბერის უღელტეხილზე, ენგურზე. მასიურად მიდიოდნენ დევნილები საქართველოს დედაქალაქისკენ, ჩვენ მეომრებს ვეკითხებოდით, სად მიდიხართ? მათ არ სურდათ იარაღის დატოვება. მაშინ გაგვივრცელეს ჭორი, თითქოსდა, ჩვენ განვაიარაღეთ შევარდნაძის სამხედრო შენაერთები. ვინაიდან იარაღიანები არ დაგვემორჩილნენ, იძულებულნი შევიქენით, გაგვეიარაღებინა ის, ვინც არ დაგვემორჩილა. ბევრი დაგვიდგა გვერდით და ჩვენთან ერთად იცავდნენ აფხაზეთს. მერე უკვე დაიწყო ჩვენი დევნა უშიშროების შეფის, იგორ გიორგაძის მიერ. ჩვენ გავედით ტყეში, ჩვენთან ერთად იყვნენ სოხუმელი ბიჭები, საღად მოაზროვნე ადამიანები, პატრიოტები, ვინც ერთგულობდა კანონიერ ხელისუფლებას და დავბანაკდით სოფელ მუხურის ტყეებში. “სუ-25-ებს” მთავრობა ჩვენს მოსაძებნად და გასანადგურებლად ხმარობდა, რაც აფხაზეთში არ გამოუყენებია. თვითმფრინავებიდან ცეცხლს გვიხსნიდნენ. 19 93 წელს, როცა ჩვენი ბიჭები ფოთს აკონტროლებდნენ, აბაშელი ბიჭი დაგვეღუპა, მახსოვს. ჩვენდა საუბედუროდ ეს ძმათამკვლელი ომი იყო! აფხაზეთი სამარცხვინოდ რომ ჩააბარა მტერს შევარდნაძემ, პარალელურად, ფოთიდან გენერალ ბალტინის ხელმძღვანელობით დესანტი შემოვიდა გემით. უკან მოჰყვებოდა ჯავშანტრანსპორტიორები (T-72, BMP-3 ,BMP-2) სამხედრო მანქანები, ეს ტექნიკა გაემართა ქუთაისისაკენ. შევარდნაძის მიზანი იყო, თავი დაეცვა და ბოლომდე გასწორებოდა ზვიად გამსახურდიას მომხრეებს. ისინი შევარდნაძემ ჩვენს გასანადგურებლად დაიქირავა. ასეც მოიქცნენ, “შეგვდენეს” ტყეში, ჩვენი თანამებრძოლები შალვა ცინცაძე და ლევან ფაღავა ზუგდიდში წამებით მოკლეს “მხედრიონელებმა”. პირადად მე, მუხურის ტყეში აღმოვჩნდი სოსო ჯომიდავას ჯგუფთან და ქართველ პარტიზანებთან ერთად.

_ ტყეში რამდენ ხანს და რამდენად მძიმე პირობებში დაჰყავით?

_ დაახლოებით სამას კაცამდე ვიყავით: აქ იყვნენ ბათუმის, სამტრედიის, ქობულეთის, კახეთის და სოხუმის ბატალიონის ბიჭები. ცხონებული ზურა ირემაძე ხელმძღვანელობდა მერე გურია-იმერეთის პოლკს. გვშიოდა, გვწყუროდა, ვნადირობდით და ნანადირევით ვიკვებებოდით. ვიცოდით რომელი ხის ბოლქვების ჭამა შეიძლებოდა, ვჭამდით, დასალევად თოვლის წყალს ვადნობდით... ამ გაჭირვებაში თვენახევარი გავტანეთ. ფეხით ღამღამობით დავდიოდით, რადგან ფორმიანები ვიყავით, რომ შევემჩნიეთ მაშინდელ ხელისუფლებას, დაგვხვრეტდნენ. ტყეში გაიყინა ბათუმის ბატალიონის დაზვერვის უფროსი სერგო ბუთხუზი, _ იმისთანა წმინდა ადგილას ვკვდები, სადაც ცოდვილს ჯერ არ გაუვლიაო, გვითხრა სიკვდილის წინ და მაჯის საათი დაგვატოვა. არავითარი იარაღი არ გვქონდა მიწა რომ მოგვეთხარა და მშობელ მიწას მიგვებარებინა. წავედით, დავტოვეთ... უჭმელ-უსმელები, ძალღონე გამოლეულები ვიყავით, კოცონი რომ დაგვენთო, იმის თავიც არ გვქონდა, ზემოდან ვერტმფრენი დაგვტრიალებდა და გვეძებდა ზვიადისტებს, ისინი ძირითადად შევარდნაძის უშიშროების წევრები იყვნენ. მებრძოლი, რომელსაც სერგო ხელში ჩააკვდა, ბათუმის ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილე იყო, ჯანგველაძე ამირანი. ის მერე ბერად აღიკვეცა, ახლა მამა ბასილია, სვანეთში ეწევა ღვთისმსახურებას. მანამდე, ეროვნული ხელისუფლების ერთგულებისათვის ციხეც მოახდევინეს! ყველანი გზებს ვეძებდით, გზა სვანეთისკენ აგვებნა, შეგვხვდა ხრამები. გაგვიჭირდა მშივრებს სიარული, ოჯახებს გარდაცვლილები ვეგონეთ. ორი თვე ოჯახმა ჩემს შესახებ არაფერი იცოდა. სოფელ “შრომადან” იყო ერთი მებრძოლი, რომელსაც ცალი ფილტვი ჰქონდა დაზიანებული, გზაში გაიყინა და მიწას მივაბარეთ. რამდენიმე თვის მერე მონადირეები დაგვეხმარნენ საფლავის პოვნაში. ზურა ფუტკარაძეს, რომელსაც იგი ჩაკვდა ხელში, 16 წელი ჩვენთან შეუსრულდა. მან მოახერხა, დამარხა და იმ ადგილას ხე დანიშნა, მერე ასე მივაკვლიეთ გარდაცვლილი მეგობრის საფლავს. წამოვედით ფეხით, მარტვილში შემოვედით ღამით, სახლებში ვჩერდებოდით, ღამეს გვათევინებდნენ. ჩამოვედით ჯაპანაში, მერე გაენაწილდით და ბათუმს შევაფარეთ თავი. ბევრნი იყვნენ ისეთებიც, ვისაც წასასვლელი არ ჰქონდა. სოსო ჯომიდავას და სხვებს დიდხანს მოუწიათ ტყეში ყოფნა. 1997 წელს უკვე მოხდა “მხედრიონელთა” დაპატიმრება, ამან კი, ზვიადისტებს თავისუფლება და დევნილობიდან შინ დაბრუნების საშუალება მოგვცა. სამტრედიაში 1998 წელს დავბრუნდი და ვცხოვრობ ჩემს ოჯახთან ერთად.

_ ზვიად გამსახურდიას პირადად იცნობდით?

_ ვარ ნამყოფი ბანკეტზე ქუთაისში, სადაც ზვიადს ჰკითხეს: რანაირ ქვეყანას ვაშენებთო? მან თქვა, ჩვენ რაც კარგი აქვთ კომუნისტებს, უნდა დავიტოვოთ, რაც კარგია კაპიტალიზმში, უნდა გადმოვიტანოთო. ზვიადი რომ გულუბრყვილო პოლიტიკოსი ყოფილიყო, როგორც ზოგი მიიჩნევს, ვერ მოახერხებდა რუსეთის პრეზიდენტ ელცინთან ისეთ მნიშვნელოვან შეთანხმებას, რომელიც ელცინს თანამდებობიდან წასვლის ფასად დაუჯდა.

_ თქვენ იმყოფებოდით მიტინგზე, რომელიც ჩეჩნეთიდან ჩამოსულმა დევნილმა პრეზიდენტმა ზუგდიდში ჩაატარა...

_ ეს იყო სამხედრო აღლუმი, რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი დაესწრო. იქ ვიყავით მე და ჩემი მეგობრები, ყველა მისი შენაერთი იქ იდგა. მახსოვს, მან თქვა, აფხაზები ჩვენი ძმებიაო.

პირბადის ქვეშ

კეთილი სიტყვითაც შეგიძლია აღამიანი გააბედნიერო

სიყვარული, მოფერების სურვილს რომ ვერ იტევს

თეა ბაბუნაშვილი

კარგა ხანია, რუბრიკა "პირბადის ქვეშ" არ შეხმიანებია მკითხველს. მიზეზებზე არა, ახლა იმაზე, რომ სასაუბროდ ისევ დავსხდებით. მით უმეტეს, მისი დღევანდელი სტუმარი ის ქალბატონია, ვისი მოსმენა და აზრის გათვალისწინება ყველას არგებს, განსაკუთრებით კი მათ, ახალგაზრდა ოჯახები რომ აქვთ და მის დედაბოძად მომავალში უნდა იქცნენ.

პირბადის ქვეშ მას არავინ იცნობს და ვერც გაიცნობს, რამეთუ მისი პირბადე მხოლოდ გულწრფელობა და მოყვასის სიყვარულია. ვერც სამტრედიელებს გააცნობს მას ეს რუბრიკა უბრალო მიზეზის გამო, ამ პატარა ქალაქში არათუ იცნობენ, უყვართ და პატივს სცემენ ქალბატონს სახელითა და გვარით თინათინ ხუჭუა. დიახ, სწორედ ის, მშვენიერი, ღიმილიანი ქალბატონი, სიკეთის საკეთებლად ასი წელიც რომ არ ეყოფა, მკითხველთან შესახვედრად მოვიწვიეთ. ვისაც მასთან უსაუბრია, იცის, ვისაც არა და გარწმუნებთ, სასიამოვნო იქნება მისი მოსმენა.

ჩემთვის იგი თინიკო დეიდაა, მისაბაძი ქალბატონი ჩემი ბავშვობიდან, ძალიან რომ მიყვარს მისი უბრალოების გამო. ძალიან გემოვნებიანი და ჭკვიანი თინიკო დეიდა ის ადამიანი იყო, ვისი სტუმრობაც ყოველთვის უხაროდა ჩემი ნათესავების ოჯახს, რომელსაც ხშირად სტუმრობდა. მერე დედაჩემი, ბიცოლაჩემი, თინიკო დეიდა ერთად დასხდებოდნენ და... ახლა იმ დროის გახსენება ტკბილი მოგონებაცაა და ტკივილიანიც.

კარგა ხნის უნახავი თინიკო დეიდა რედაქციაში ისევ ისეთი მოვიდა, მხიარულებისა და იმედის შემომტანი მუხტით, როგორც მაშინ, იმ დროში, ახლა რომ ძალიან გვენატრება. უბერებელია და ალბათ, იმიტომ, რომ შორსაა შურისა და ბოღმისგან, იმიტომ, რომ დიდთან დიდია და პატარასთან პატარა, ცოტა ჰყოფნის ბედნიერებისთვის და საოცარი ნიჭი აქვს, თუნდაც, კეთილი სიტყვითა და ღიმილით გააბედნიეროს გარშემომყოფები. გონების თვალი იმ წლებს კიდევ ერთხელ გადავავლე. ბევრი გამახსენდა უკვე ცრემლად ქცეულ მონატრებად, სიხარულად. ისიც გამახსენდა, შეუდარებელმა დიასახლისმა, როგორ გვასწავლა ჯერ ისევ ბავშვობის ასაკიდან გამოუსვლელ გოგოებს, მაშინ ძალიან პოპულარული "ღარიბების ნამცხვარი" ზეთითა და ხილფაფით.

საუბარმა გარდასული წლები ამოალაგა მოგონებების სკივრიდან უცებ რომ გასულან დღევანდელობას წარსულად შეტოვებულნი.

ბავშვობაც გავიდა, თინიკო დეიდა კი ისევ ისეთი დარჩა, გადამდები ღიმილით და უშურველი სითბოთი სავსე. ვსაუბრობდით და ის დრო მეხმიანებოდა, თვალსა და ხელს შუა რომ ქცეულა წარსულად და სევდიანი მოგონება იყო ამ ინტერვიუს ჩაწერისას.

ამდენი გაგრძელება რა საჭიროა, თინათინ ხუჭუა იმაზე გაცილებით სასიამოვნოდ ისაუბრებს, ვიდრე მე ამ პატარა შესავალში, მისთვის მოფერების სურვილს ვერა და ვერ რომ იტევს.

_ როგორც ვიცი, ძალიან თბილ ოჯახში აღიზარდეთ, დედა ადრე გარდაგეცვალათ და ბებიის როლი უმთავრესია თქვენს აღზრდაში.

_ დიახ, ძალიან თბილ ოჯახში გავიზარდე. მამა ე. წ. "ორსში", რკინიგზის მუშათა მომარაგებაში მუშაობდა კადრების უფროსად, დირექტორის მოადგილედ. დედა უდედმამო ბავშვთა სახლში პედაგოგი გახლდათ. ოჯახის შექმნის შემდგ მალევე დაანება თავი მუშაობას, სამი შვილის აღზრდა საკმაოდ შრომატევადია. ბებია ჩვენი ოჯახის ბურჯი იყო, ძალიან კეთილი და ავკარგიანი ქალბატონი. ბუნებრივია, დედის როლი უმნიშვნელოვანესია შვილების აღზრდაში, მაგრამ ბებიამ საკუთარი ნიშა დაჩნია ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებას. იგი გახლდათ ადამიანი, რომელსაც შეეძლო დაუნანებლად გაეჩუქებია ყველაფერი, ოღონდ სხვისთვის ესიამოვნებია. სადილს რომ გავამზადებდით, სუფრასთან დაჯდომამდე ხელმოკლე მეზობელთან გაგვატანდა, ზურგში ჩამცვივდება, ანუ არ შემერგება, ის თუ მშიერიაო. ეს გამოთქმა მისგან დამჩემდა. ანდაზებით უყვარდა საუბარი, ყველა შემთხვევაზე შესაფერი ანდაზა მზად ჰქონდა. "მტერს გობით, მტერს ხონჩით", იცოდა თქმა. მტერს რომ ხონჩით დახვდები, ის აღარ გიმტრობსო, გვეტყოდა.

დედა ადრე გარდამეცვალა, ძალიან ახალგაზრდა, მეცხრე კლასში გახლდით. მერე მამამ და ბებიამ იტვირთა ჩემი, ჩემი უფროსი ძმისა და უცროსი დის აღზრდა.

_ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვიდან მალევე შექმენით ოჯახი...

_ დიახ, პირველივე კურსზე. თამაზ დუნდუა გახლდათ ჩემი მეუღლე. შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ იგი საუკეთესო მამა და ცხოვრების თანამგზავრი გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ხელმოკლედ გაზრდილს, უნდოდა ყველაფერი ის, რაც მისი მშობლების ოჯახსა და მის ბავშვობას აკლდა, ჩვენ უხვად გვქონდა. ყოველთვის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. ჩვენს შორის საკმაოდ დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, 14 წელი...

_ უარყოფითი აქვს რაიმე ამხელა ასაკობრივ ზღვარს ქორწინებისას?

_ ჩვენს შემთხვევაში უარყოფითი არაფერი ჰქონია, არც იგრძნობოდა. ალბათ, ადამიანებზეა დამოკიდებული. იქნებ სულაც არ ჰქონდეს ცოლ-ქმარს ამხელა ასაკობრივი ზღვარი, მაგრამ მაინც ვერ შედგეს ოჯახი. პირიქით, ძალიან მზრუნველი ადამიანი იყო, ისტორიული ფაკულტეტის პირველკურსელი გავხდი მისი მეუღლე, მალე შვილიც მეყოლა. თავად იყო მონდომებული, სწავლაში ხელი არ შემშლოდა. ეძებდა წიგნებს, კონსპექტებს. უნდოდა, კარგი პედაგოგი ვყოფილიყავი, რადგან ყველა მახსოვს, ვინც სუსტი მასწავლებელი მყავდაო, ამბობდა. რეპეტიტორი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ვისაც ჩემგან ცოდნის მიღება სურდა, დამატებითაც ვამეცადინებდი. მხიარული და სტუმართმოყვარე ოჯახი გვქონდა. მაშინდელ მეთოთხმეტე სკოლაში ვმუშაობდი, რომელიც ჩვენს სახლთან ძალიან ახლოსაა. ხშირად ვიკრიბებოდით კოლეგები ერთად. მისგან არასდროს ვყოფილვარ შეხლუდული. ყველა ფინანსური საჭიროება ოჯახისა თამაზის ზურგზე გადადიოდა. ისიც მუდამ ცდილობდა ესიამოვნებია ჩვენთვის. ჩვენ ცალკე ვცხოვრობდით შვილებთან ერთად. ვახერხებდით შვილებისა და მშობლების ურთიერთობა არა მხოლოდ სტანდარტული გაგებით გვქონოდა, არამედ, ვმეგობრობდით ერთმანეთთან. მართალია, წლების წინ გარდაიცვალა ჩემი მეუღლე, მაგრამ როგორც მკვდარს დღესაც არ ვახსენებთ მას. როცა რამე ისეთი ხდება, რაც მას არ მოეწონებოდა, ხშირად გვითქვამს, მოიცა კაცო, თამაზი გადაირევა! კარგი წინამძღოლი გვყავდა, რომელიც



თინათინ ხუჭუა



თამაზ დუნდუა

არაფერში გვზღუდავდა. მკაცრი მამა არ იყო, მაგრამ განსაზღვრული დოზით სიმკაცრე ყველა ოჯახისთვის აუცილებელია. ბავშვებს რომ დავსჯიდი, გავუბრაზდებოდი, საღამოს მამამისს შესჩივლებდნენ. ისიც პასუხობდა, იცი რა, მამა, ამისთვის, ალბათ, მეც დამსჯიდნენ. ამით მთავრდებოდა ბავშვების გულის აჩუყება მამასთან.

_ დედამთილების პრობლემა ყოველთვის არის საქართველოში. თქვენს ტრადიციულ ოჯახში როგორ ალაგებდით და ალაგებთ ამ ურთიერთობებს?

_ გადაუჭარბებელი თავმოწონებით შემიძლია ვთქვა, არც დედაჩემისა და ბებიაჩემის, არც ჩემი და ჩემი დედამთილის ურთიერთობა არ ყოფილა ტრადიციულად რძალ-დედამთილური. დილით დედასა და ბებიას საუბარი მაღვიძებდა, დღის გეგმას აწყობდნენ, რა როგორ გაეკეთებიათ. დედა უფრო საოჯახო საქმეებს, სადილ-ვახშამსა და დალაგება-დასუფთავებას უძღვებოდა. დიდ ოჯახი გვქონდა, ეზოში ყველანაირი ხილი და ბოსტნეული მოგვყავდა. ასე, ყველაფერზე ბაზარში არ დავრბოდით. ბუნებრივია, თავისებურებები ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ დედაჩემის მხრიდან ბებიისადმი პატივისცემა ყველაფერში ჩანდა. თუნდაც იმაში, რომ, რადგან ბებიას უნდოდა გრძელი ნაწნავები მქონოდა, დედამ მისი ხათრით თმა არ შემჭრა, თუმცა, იმდენად გრძელი თმა მქონდა, რომ მისი მოვლა ძალიან მიჭირდა. მაშინ იყო და ვთვლი, რომ ოჯახში უფროს-უმცროსობა უნდა იგრძნობოდეს! ზომიერება ყველგან და ყველაფერში საჭიროა.

ჩემი დედამთილი ბერძენი ქალბატონი გახლდათ, გვარად კონსტანტინიდი. განათლებული ქალი იყო, შეგნებული. ჩვენ ერთად არა, ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობდით. მეგობრული ურთიერთობები გვქონდა. საკმაოდ კარგი დიასახლისი იყო, საოცარ ხაჭაპურს აცხობდა. ახლაც გული მწყდება, მისი რეცეპტი რომ არ ვისწავლე. ჩემი მაზლისა და რძლის ოჯახში რომ მივიდოდი, ყოველთვის მზად იყო, სუფრა იმ კერძებით გაეწყო, რაც მე მიყვარდა. ტელეფონით ყოველდღიური კავშირი გვქონდა. დილით დამირეკავდა, მოდი, ესა და ეს მოვამზადე, შენ გიყვარსო. თუ გაიგებდა, სტუმარი მყავდა, მაშინვე მკითხავდა: რა გამოგიგზავნო? ფილმების ყურება ორივეს გვიყვარდა. ვივიენ ლიზე განსაკუთრებულად შეყვარებული გახლდით. ვნახავდით ფილმს და ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით. ჩემთვის, დედით ადრე დაობლებული გოგოსთვის, მართლა, დედასავით იყო.

არც მე და ჩემი რძალი ვცხოვრობთ ერთად. გამოგიტყდებით, როგორც დედამთილს, შენიშვნების მიცემა მიყვარს. არასდროს მიგრძვნია მისგან, რომ რამე ეწყინა. იგი კარგად აღზრდილი გოგონაა, ძალიან კულტურული და განათლებული. თუმცა, შენიშვნებს საკუთარ ქალიშვილსაც ვაძლევ, როცა ეს საჭიროდ მიმაჩნია. იცით რა, შვილები ისე უნდა გაზარდო დედამ, რომ ოჯახისთვის მოამზადო. როცა ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს სიყვარულთან ერთად ურთიერთპატივისცემა და ოჯახის კეთილდღეობის სურვილი ემატება, ამგვარი პრობლემები ნაკლებად იჩენს თავს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ზომიერების გრძნობა ყველაფერში და განსაკუთრებით ოჯახში, ადამიანებთან ურთიერთობაში, აუცილებელია. ძალიან კარგი ურთიერთობები გვაქვს მე და ჩემს რძალს. ვცდილობ, ჩემი ვაჟის ოჯახურ საქმეებში არ ჩავერიო. თუ დედამთილები იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რძალსაც ჰყავს დედა,

შვილიშვილებთან თინათინთან და ელენე დუნდუებთან

ისიც შვილია და ჩვენც ვიყავით რძლები, პრობლემები ოჯახში ნაკლებად იქნება. მაგრამ რძლებმაც უნდა გაითვალისწინონ, რომ ბიჭები მაინც "დედიკოს ბიჭები" არიან, იმიტომ, რომ მა, ძირითადად, დედები ზრდიან და ამიტომაც განსაკუთრებით უყვართ დედები ბიჭებს! ცოლებსაც არგებთ ამის გათვალისწინება და... ამ ურთიერთობებში მოუგვარებელი არაფერია! ჩემს ქალიშვილს ვეუბნებოდი, იმ ოჯახში, სადაც შეხვალ, პურს უკუღმა რომ ჭრიდნენ, შენც უკუღმა დაჭერი-თქო. ეს ყველაფერი ისევე არის სიძისა და სიდედრის შემთხვევაში, როგორც რძალ-დედამთილისაში. დათმობა, ზომიერება ორივე მხარეს უნდა შეეძლოს და ურთიერთობა ძალიან ადვილი, ამასთანავე, სასიამოვნო გახდება.

ჩემი სიძე, თამილას მეუღლე, სერგო რუხაძე, კეთილშობილი ადამიანია, ძალიან მორწმუნე და კაცთმოყვარე. ორი ვაჟი ჰყავთ, საბა, კავკასიის უნივერსიტეტის პირველკურსელია. ნიკოლოზი კი ჯერ მეექვსე კლასშია.

ვაჟიშვილს, ბესოს ორი გოგონა ჰყავს, უფროსი თინათინი მეცხრეკლასელია, უმცროსი ელენე კი, რომელსაც ჩემი დედამთილის სახელი დავარქვით, პირველ კლასშია. რძალი, ნინო ესვანჯია, პროფესიით ექიმია. კარგი ოჯახები აქვთ, ისეთი, დედის გულს რომ გაუხარდება. საერთოდ, მშობლები ყოველთვის ცდილობენ გაამაგრონ შვილების ოჯახები იმით, რითაც შეუძლიათ. რომელ მშობელს უნდა ცუდი საკუთარი შვილისთვის. ბუნებრივია, ასე ვარ მეც. ჩემს შვილებს არაფერი სჭირდებათ ჩემგან, პირიქით, თავად მეხმარებიან, მაგრამ მე რაც მაქვს, მათთვის მაქვს!

ოჯახს მოფრთხილება სჭრდება. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი ოჯახის თავია, ქალი ბურჯია მისი, საყრდენია. ახალს ვერაფერს ვიტყვი იმით, რომ ქალზეა დაფუძნებული ოჯახის სიძლიერე. ქალი ოჯახის სახეა! კეთილი ქალის ოჯახი კეთილია, თბილია, ძუნწის _ ძუნწი და ასე შემდეგ. სიმყუდროვე აუცილებელია ყველა ოჯახისთვის და ამგვარ გარემოს ქალი ქმნის ოჯახში. უფრო სწორად, ისეთ გარემოს ქმნის, როგორიც თავადაა. დიახ, ოჯახს უპირველესად ქალი უფრთხილდება და ჩემი უდიდესი გულისტკივილი დღეს ქვეყნის დანაწევრებასთან ერთად ისაა, რომ ამდენი ოჯახი ინგრევა. თითქოს მოდური გახდა ოჯახების დანგრევა. ასე გაგრძელება არ შეიძლება!

_ ბედნიერებისთვის რომ სულ ცოტა რამაა საჭირო, ვიცით. თქვენთვის რა არის ბედნიერება?

_ შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ქალი ვარ, მყავდა კარგი მშობლები, კარგი მეუღლე. მყავს კარგი დედმამიშვილები, ძმა ოლეგი და დალია ხუჭუები თავიანთი ტრადიციული ოჯახებით. მყავს კარგი შვილები, შვილიშვილები. რაც მთავარია, ღირსეული ადამიანები არიან, გასაჭირში მოყვასის მიტოვება არ შეუძლიათ, სხვისი სიხარული საკუთარივით უხარიათ. მყავს ძალიან ბევრი მეგობარი, რაც აუცილებელი პირობაა ჩემთვის, თავი კომფორტულად ვიგრძნო. ბებიადან მომდევს ალბათ, რომ ყოველი დღე რაღაცის გაჩუქების დღე მაქვს. თუ ბევრით არა, ცოტათი მაინც ხომ შეგიძლია ასიამოვნო ადამიანს. ეზოში მწვანილს ყოველთვის ვთესავ. სხვა თუ არაფერი, ვისაც არ აქვს მწვანილი, იმ მეზობელს მივუკითხავ. კეთილი სიტყვითაც შეგიძლია ადამიანი გაბედნიერო. მგონია, რომ სიკეთის საკეთებლად ასი წელი არ მეყოფა. ბედნიერების ფორმულა სიყვარულშია. სულიერი სიმდიდრე, მისაღწევი მიზანი, ზომიერების გრძნობა, ნებისყოფა, სულ ცოტა ეკონომიკა, ჯანმრთელობა, პროფესიის სიყვარული, სიკეთის კეთების სურვილი და ადამიანი ბედნიერია! მიკვირს მათი, შეხვედრისთანავე წუწუნს რომ დაგიწყებენ და საკუთარ ცუდს შემოგჩივლებენ. რა პრობლემაც არ უნდა გქონდეს, ხომ შეიძლება, ღიმილიანი სალამი თქვა?! თუ სულიერად მდიდარი არ ხარ ადამიანი, ვერასდროს გამდიდრდები! და კიდევ, ადამიანს მადლიერების გრძნობა ხდის ბედნიერს, უმადური ვერასდროს იქნება ბედნიერი!

_ ალბათ, ადვილად არ ბრაზდებით...

_ უბრალო რამეებზე არ ვბრაზდები. ყველაფრის პატიება შემიძლია, ცისლისწამების გარდა. ადრე, კომუნისტების დროს, მახსოვს, ცილისწამება დასჯადი იყო. ახლა რაც გინდა თქვი, ვინც რაში გინდა დააბრალო, ან დააბრალო, რეაგირება არავის აქვს. გაბრაზებული თითქმის არასდროს ვარ, უბრალოდ, თუ საქმე აქამდე მივა, არ ვიცნობდი და არ ვიცნობ ასეთ ადამიანს. ძალიან იშვიათად ვბრაზდები, მაგრამ ვცდილობ, წონასწორობა არ დავკარგო.

_ თქვენი უბერებლობის საიდუმლო რაშია?

_ უბერებელი არავინაა, მაგრამ შურისა და ბოღმისგან დაცლილი ადამიანები, სიკეთის კეთება უბრალოდ რომ შეუძლიათ, გვიან ბერდებიან, ან არ ბერდებიან. ვხუმრობ, ასაკს ღამეებს არ ვათვლითქო. ყოველდღიური კონტაქტი მაქვს ახალგაზრდებთან, ბავშვებთან, საკუთარ საიდუმლოებს რომ მიმხელენ. მეთოთხმეტე საშუალო სკოლის შემდეგ სკოლა "ცოდნაში" ვმუშაობ პედაგოგად. რა ვიცი, სიბერე შინაგანიდან მოდის, სანამ შეგიძლია ცხოვრებასთან იბრძოლო, არ შეეგუო ცუდს და შენს გარშემო დადებითი აურა თვითონვე შექმნა, სანამ მეგობრები გყავს და გიყვარს, ზოგადად, სანამ სიყვარული შეგიძლია არ დაბერდები!

_ ადამიანური ურთიერთობები რამდენად შეცვალა დრომ, რა წაიღო და რა მოიტანა?

_ ბევრ რამეს ვაბრალებთ დროს, უფრო სწორად, ხელს ვაწმენდთ. დრომ წაიღო ის, რაც არ იყო ფასეული და, ადრე თუ გვიან, მაინც უარყოფილი იქნებოდა. ფასეული და ნადდი, ყველაფერი უძლებს დროს, წყალივით მიდი-მოდის უღირსი და ქვიშასავით რჩება ღირსეული. იქნებ ბევრი რამ მოიტანა დრომ, მაგრამ ადამიანური ფასეულობები და ღირსებები, რამაც დასაბამიდან დღემდე მოგვიყვანა, უცვლელია და არც შეიძლება შეიცვალოს. რა შეცლის ერთგულებას, სიკეთეს, მეგობრობას, სიყვარულს! ორგულობა და სიძულვილი ყოველთვის იყო, ეს დროს არ მიაქვს და მოაქვს, მთავარია, შენი ცხოვრების მრწამსი როგორია. დროც ისეთია, როგორიც ადამიანის შეხედულება ადამიანობაზე.



საბა და ნიკოლოზ რუხაძეები

შვილები

არის რაღაცეები ყოფით ცხოვრებაში, რაც მართლა შესაცვლელი იყო. დედა რომ გარდამეცვალა, თხლები, შვილიშვილები, ძალიან კარგი რძალი და სიძე, რომლებიც ისე არიან ჩემს შვილებთან დაკავშირებული, რომ არ შეიძლება, არ გიყვარდეს. მათ ტვირთად ხომ არ უნდა დავწოლოდი? ამიტომ, დრომ კი არა, სიყვარულმა განაპირობა, რომ ცხოვრება გამეგრძელებია!

მართლა შეცვალა დრომ ის, რაც შესაცვლელი იყო. მახსოვს, ბავშვობაში ადამიანი რომ გარდაიცვლებოდა, აუცილებელი იყო განსაკუთრებულად კივილი და ტირილი. ეს ერთგვარად პირველყოფილი ადამიანებისგან მოდის, გარდაცვალების შემთხვევაში მათ ეგონათ, არ ესმოდა მიცვალებულს, ეძინა და ასე ცდილობდნენ მის გაღვიძებას. ახლა უკვე ეს ასე აღარ არის. ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, ბებიაჩემი იტყოდა, ის არ მოუკვდა მის დედას, რესტორანში უცეკვიაო. ქალისთვის რესტორანში ცეკვა ცუდ ტონად ითვლებოდა. ასევე ცუდი ტონი იყო წითელი პომადის, შავი წინდის ჩაცმა. ქმრის მანქანის გარდა სხვის მანქანაში ქალის ჩაჯდომა, თუნდაც, ნაცნობი ყოფილიყო იგი. ასეთი რამეები ახლა სასაცილოა.

სითბო ურთიერთობებში იქნებ მართლაც წაიღო პრაგმატიზმით სავსე დრომ. ბავშვობაში, მახსოვს, განსაკუთრებული მეზობლობა იცოდნენ. ერთმანეთის ჭირსა და ლხინს საკუთარივით ითავისებდნენ. ეზოში ბლომად გაფენილ სარეცხს რომ დაინახავდა მეზობელი, საკუთარი უთოთი გადმოვიდოდა, დაუთოვებაში დასახმარებლად. გახსოვთ ალბათ, მაშინ ყველაფერს აუთოვებდნენ. განსაკუთრებული სითბო ჰქონდა იმ ძველ დროს, მაგრამ მე მაინც მგონია, თუ ოჯახი შვილს სწორად ზრდის და ბავშვობიდან აჩვევს სითბოსა და ადამიანურ მოვალეობებს, მერე ცხოვრებაში მას დრო ვერ შეცვლის.

_ ბავშვობიდან მახსოვს მუდამ ღიმილიანი თინიკო დეიდა, ყოველთვის ლამაზად ჩაცმული. კარგი გემოვნებით ყოველთვის გამოირჩეოდით. უკვე დიდობაში გვითხარით ერთხელ, ზოლიანი და კოპლიანი ყოველთვის მოდაშია, გააჩნია როგორ ჩაიცვამთო. და კიდევ, თქვენი უგემრიელესი "პეროგი" და ბეზეს ტორტი ჩემი ბავშვობის გემოებში უპირველესია. იმ მძიმე წლებში, საჭმელიც რომ ჭირდა, თინიკო დეიდა თითქმის არაფრისგან რამე გემრიელს მაინც მოამზადებდა...

_ გამოგიტყდებით, ბევრი რამის მომზადება არც ვიცი. ყველაფერს საუკეთესოდ ვაკეთებ-თქო, რომ ვთქვა, არა, მაგრამ რასაც ვაკეთებ, კარგად ვაკეთებ, გულით ვაკეთებ და სულ ესაა ჩემი კარგი მზარეულობის საიდუმლო.

ბებიაჩემი ამბობდა, ხელობა მეფესაც დასჭირდაო. მისი დაჟინებული მოთხოვნით კერვა და ქსოვა შემასწავლეს. გამომადგა კიდეც. ახლა მეც ვამბობ ამას და ძალიან მინდა, ჩემს შვილიშვილებს ვასწავლო. ქალს ფანტაზია უნდა ჰქონდეს. არასდროს არაფერი მომითხოვია, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიურად არ მიჭირდა. ყოველთვის არ იყო საშუალება, რამე განსაკუთრებული მეყიდა. არც მჭირდებოდა, უბრალო ჩითის ნაჭერს შევიძენდი და ულამაზეს კაბას შევიკერავდი. ოჯახი მარტო ტანსაცმლის ყიდვა არაა, მას ბევრი სჭირდება და ამდენი საშუალება მუდმივად შეიძლება არ იყოს. ეს ყველაფერი ქალმა უნდა დაარეგულიროს. ასე რომ, ბებიას დაჟინებით შესწავლილი ხელობა მეც ისე გამომადგა, როგორც მეფეს!

_ თქვენი პატარა ბიზნესიც სწორედ ასე ააწყვეთ ხომ, ბებიას დაჟინებით შესწავლილი ხელობით?

_ უკვე გითხარით, რომ ყოველთვის ვქსოვდი და ვკერავდი, ისე, ჩემთვის. მეუღლე რომ გარდამეცვალა 12 წლის წინ, გულსაც ვაყოლებდი ხელსაქმეს. ერთხელ სკოლაში ჩემმა კოლეგამ დაიწუწუნა, ქმარ-შვილი არ მუშაობს და რაა მასწავლებლის ხელფასი, ვერაფერს ვაკმარეო. იდეა დამებადა, ვუთხარი, შენ ქსოვა ხომ იცი, მოქსოვე და გაიყიდება-თქო. ვის უნდა ჩემი მოქსოვილი, რამდენი მოდური ტანსაცმელი შემოდისო, მიპასუხა. ამ დროს სამასწავლებლოს ფანჯარასთან ქალმა ჩაიარა, ცოტა ფუმფულამ, რომელსაც სარაფანზე მოსაცმელი ჰქონდა მოსხმული. ჰოდა, მეც გადავწვიტე, ისეთი მოსაცმელი უფრო გრძელი მომექსოვა. ავიყოლიე ის ჩემი მეგობარი და ორ კვირაში სამასი ლარის ნაქსოვი ტანსაცმელი მარტო სკოლაში გავყიდეთ. ასე დაიბადა ჩემი პატარა საქსოვი ფირმა. ჰო, მას ხუმრობით ფირმას ვეძახი. სულ შვიდი მქსოველი მყავს, ათი რომ მყავდეს, ქარხანას დავარქმევთქო, ვხუმრობ. სახელი ჩემმა სახელმოზიარე შვილიშვილმა, თინათინმა მოუძებნა, "თიკ@თიკ" დავარქვით. მერე ქუთაისში, "გრანდ მოლში" ერთ კარგ მქსოველთან მივიტანე ჩემი ნამუშევრები. იგი საქსოვ დაზგაზე ქსოვდა და ყიდდა. რომ გაიგო ხელით იქსოვებოდა, მითხრა, ძალიან იაფად ყიდით, ხელით ნამუშევარი უფრო ძვირიაო. თვითონ დაიტოვა მის მაღაზიაში, რეკლამაც გაუკეთა და საქმეც აეწყო. მე ეს არასდროს მჭირდებოდა, ეკონომიურად არ მიჭირდა, მაგრამ ჩემი შემოსავალი, თუნდაც მცირე, ბევრ რამეში მეხმარება და უპირველესად შესაძლებლობას მაძლევს, სხვებს დავეხმარო. ძალიან ბევრი რამე ხშირად გამიჩუქებია კიდეც. შრომის თერაპია არის უპირველესი და ყველაზე კარგი საშუალება ადამიანის სულის სიჯანსაღისთვის და ეს საქმეც, ამგვარი შრომაც, თერაპიაა ჩემთვის.

“მაგრამ რწმენა ავალეგდა რაოდენს”

ნათია ნაცვლიშვილი

მეორე საჯარო სკოლის (დირექტორი თეა კარტოზია) ისტორიის პედაგოგმა, ნატო ჯამბურიამ და მისმა მეხუთეკლასელმა მოსწავლეებმა შესანიშნავ სასკოლო ღონისძიებაზე მიგვიწვიეს. სტუმართა შორის ამავე სკოლის კურსდამთავრებული, მამა შიო ჭაფოძე, მამა მიქაელი (ხუნდაძე) და სტიქაროსანი ბაქარ ლეჟავა იმყოფებოდნენ. როგორც პატარებმა გვითხრეს, ევროპული განვითარების გზაზე მდგომმა ჩვენმა ქვეყანამ ღირსეული წარსულის დაფასებაც უნდა შესძლოს და სამომავლოდ სწორი ზნეობრივი ორიენტირები უნდა განსაზღვროს. სწორედ ამ ღირებულებათა ჩამოყალიბებაში ეხმარება პატარებს ასეთი მაორიენტირებელი, პატრიოტული შინაარსის, ემოციური ღონისძიებები. “ნეტარ არიან მორწმუნენი” _ ასეთი იყო ღონისძიების სახელწოდება. “დიახ, გახლავართ საქართველოდან... უფლის სიყვარულს თავს რომ სწირავენ, რწმენას არავინ არ ჰყიდის ფულზე” _ ასე დაიწყეს და მთავარი აქცენტიც ღირსეულ წინაპრებზე, სამშობლოსა და ქრისტიანობისათვის თავდადებულ მეფეებსა და წმინდანებზე გადაიტანეს. ქრისტიანობა ხომ ქართველისათვის წმინდა მოძღვრებასაც ნიშნავდა, ჩვენს მიწა-წყალსაც და ქართველობასაც. აი, ამ განცდით ამოზიდეს ტანჯვანანახი ქვეყნის ისტორიული მეხსიერებიდან წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის, დავითისა და კონსტანტინე მხეიძეების, გობრონის, თავდადებული მღვდელი თევდორეს, ყაენის ურდოში ნებით წასული თავდადებული მეფე დემეტრეს, შაჰის

ბრძანებით ნაწამები ქეთევან დედოფლის და უამრავი წმინდანის ისტორია. ბავშვებმა სიამაყით შეგვახსენეს, რომ საქართველოს ერგო პატივი, მსოფლიო მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე _ უფლის კვართი საქართველოში დავანებულიყო. მცხეთელმა ელიოზმა რომაელი ჯარისკაცისგან უამრავი ვერცხლის ფასად გამოსყიდული სიწმინდე მცხეთაში რომ ჩამოაბრძანა, ტირილით ჩაიკრა გულში მისმა დამ, სიდონიამ და მასთან ერთად აღესრულა. კვართთან ერთად დამარხეს სიდონიაც. ისაუბრეს ქრისტიანობის პირველი მქადაგებლების, ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის, ასევე, მეექვსე საუკუნეში სირიიდან ქართლში მოსული ცამეტი ასურელი მამის ღვაწლზე. რომელ ერს ჰყავს ქრისტესათვის თავდადებული ერთდროულად ასი ათასი მოწამე? ეს მოწამენი სულიერი ლაშქარია საქართველოსი. ემოციურად წაიკითხეს “დავითიანიდან” ნაწყვეტი _ “ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო.” ასევე ემოციურად წაიკითხეს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორისადმი მიძღვნილი ლექსები. მუსიკალური ნომრით წარსდგა თომა ქვაჩახია. “მამაო ჩვენოთი” და ანთებული სანთლებით დასრულდა ულამაზესი საღამო.

მამა შიო ჭაფოძე: “ყველას მოგესალმებით, ღმერთმა მშვიდობა და კეთილდღეობა არ მოგაკლოთ, დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, შესანიშნავი ღონისძიება იყო, მოხარული ვარ, რომ ჩემს მშობლიურ სკოლაში ვიმყოფები, მადლობა ბავშვებო, პედაგოგებო, მშობლებო, ქალბატონო დირექტორო, ჩვენი პატრიარქი ხშირად ამბობს: ევროპული ღირებულებები უნდა გავიზიაროთ, მაგრამ ისე, რომ ჩვენი ტრადიციები არ შევბღალოთო. ღვთის მადლი და წყალობა არ მოგაკლდეთ, დღეს აქ გამოვლენილი სულისკვეთებით უნდა აღზარდოთ თქვენი შვილები მომავალშიც. აუცილებელია, თქვენ, პატარებო, იაროთ ტაძარში. უამრავი ღირსეული, ღვაწლმოსილი ადამიანი, საერო და სასულიერო პირი, ასევე ქტიტორი აღუზრდია ამ სკოლას, რაც საამაყოა!”

თეა კარტოზია: “მადლობას ვუხდით ძვირფას სტუმრებს მობრძანებისთვის. ამ პატარებს და ნატო მასწავლებელს უდიდესი მადლობა! მჯერა, ეს ბავშვები ნამდვილ პატრიოტებად და ჭეშმარიტ მორწმუნეებად აღიზრდებიან. ჩვენს სკოლაში მსგავსი ღონისძიებების გამართვის დიდი ტრადიცია არსებობს.”

კარნავალი იწყება...

ნინო ნანიტაშვილი

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ საახალწლო ღონისძიებების დაწყება 17 დეკემბერს, ბარბარობის დღესასწაულს დაუკავშირა. სტარტი მე-4 ბაგა-ბაღმა აიღო. 15 ასაკობრივი ჯგუფიდან პირველები ქეთი ლომიას 4-5 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები იყვნენ. ანგელოზის სამოსში გამოწყობილები თეთრი ფიფქებივით მოეფინნენ გარემოს და დარბაზში მყოფი ადამიანების გულები ლამაზი, რითმული სიმღერებითა და ცეკვა-თამაშით გაათბეს.

იმას, რომ წმინდა ბარბარე ბავშვების მფარველია, ერთგვარი დატვირთვა ჰქონდა მე-4 ბაგა-ბაღის ღონისძიების მსვლელობისას. მონაწილე პატარებს ანგელოზის ფრთები მოესხათ. თეთრად მორთული დარბაზის ზამთრის იმიტაცია სტუმრებს საახალწლოდ განაწყობდა.

მარგალიტის მძივებივით აესხათ კარნავალი, რომლის მსვლელობისას პატარები ჯგუფურად შესრულებული სიმღერებითა და ცეკვებით მაყურებელს წინასაახალწლო განწყობას უქმნიდნენ.

აღმზრდელი ქეთი ლომია თანაშემწეებთან, მელანო დვალიშვილთან, ირმა ტორონჯაძესთან და მუსიკის პედაგოგ, ლელა გოლიაძესთან ერთად აქტიურად იყო ჩართული საახალწლო ღონისძიებაში.

კიდევ უფრო მეტი სიხალისე შემოიტანა 5-6 წლიანთა ჯგუფის (აღმზრდელი მარინა კაკაბაძე) გამოჩენამ სცენაზე.

პატარებს ჯამბაზად თავად აღმზრდელი, მარინა კაკაბაძე მოევლინა, რომელმაც განსაკუთრებული მხიარულება შემატა მონაწილეებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობლების ჩართულობა, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა კონკურსებში.

ნამდვილი “სიხარულის შადრევანი” ამოვიდა №4 ბაგა-ბაღის სცენაზე, როცა ჯგუფ “ღიმილის” აღსაზრდელებმა გახსნეს ჯადოსნური ფარდა: რა ბედნიერი დილა გათენდა!

როგორ ველოდით ამ დღის დადგომას! აი ისიც... ლამაზად მორთული დარბაზი, მზესავით აბრდღვიალებული ნაძვის ხე, პრინცესებივით გაპრანჭული გოგონები, მზეჭაბუკებივით ლამაზი ბიჭები, ბედნიერი, გახარებული მაყურებელი. მეტი რა არის საჭირო, რომ შეიქმნას საახალწლო განწყობა. მერე ერთმანეთში აირია ლამაზი ცეკვები, მხიარული სიმღერები. ირგვლივ ბედნიერების, სიხარულის სურნელი დატრიალდა, როცა სცენაზე ჯამბაზები გამოჩდნენ. ყველას უნდოდა ჩახუტებოდა, ხელით შეხებოდა მხიარულ ჯამბაზებს, დახმარებოდა “ფოკუზების” ჩატარებაში. ბავშვების ყიჟინა მუსიკის ხმას ფარავდა.

“ეს იმას ნიშნავს რომ მიზანი მიღწეულია, ვფიქრობდი გულში. ახალი სააღმზრდელო პროგრამა საკითხს სვამს ახლებურად _ ზეიმი თუ გართობა?

გაჩნდა ახალი ტერმინიც “ბავშვებზე ორიენტირებული”. დიახ! უნდა ერთვებოდნენ ბავშვები და ნებისმიერი დღესასწაული მათ უნდა ანიჭებდეს სიხარულს. მე ბავშვებთან ერთად გამაბედნიერა საახალწლო კარნავალმა, რადგან ჯამბაზის როლი მოვირგეთ მე და ჩემმა თანაშემწემ. ბავშვების გახარება ჩემი ჰობია. ვცდილობ ყოველდღე ახალი სიურპრიზებით გავულამაზო მათ ბავშვობა”. _ კარნავალის ბოლოს თავისი ემოციური განწყობა გაუმჟღავნა მარინა კაკაბაძემ “სამტრედიის მაცნეს”.

კარნავალს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, მარინა შენგელია ესწრებოდა. მან პატარებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა. ღონისძიების კულმინაცია გახლდათ თოვლის ბაბუს გამოჩენა და საჩუქრები, რომელიც ბავშვებს მუნიციპალიტეტის მერიამ და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ მოუმზადა. ბედნიერმა პატარებმა მადლიერების დასტურად თოვლის ბაბუს ლექსები წაუკითხეს და მასთან ერთად იცეკვეს.

მე-4 ბაგა-ბაღის მმართველმა ნანა დუნდუამ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და სცენაზე გავიდა. საახალწლო ლექსი და სიმღერა მიუძღვნა მე-4 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს და მსოფლიოს პატარებს ბედნიერი ახალი წლის შემობრძანება უსურვა.

18 დეკემბერს მე-10 ბაგა-ბაღში 2-3 წლიანთა ჯგუფში ჩატარდა ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ლამაზად მორთულ ნაძვის ხესთან სანტა-კლასუსის ფორმაში გამოწყობილი პატარები, თავიანთ აღმზრდელებთან ერთად ცდილობდნენ თავი მოეწონებინათ თოვლის ბაბუასთვის, რომ შემდეგ დამსახურებულად მიეღოთ საახალწლო საჩუქრები.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში ისმოდა ხალისიანი პატარების მიერ ნათქვამი ლექსები, შესრულებული ცეკვები და სიმღერები, რომლის მომზადებაშიც აღსაზრდელებს ეხმარებოდნენ აღმზრდელი ხატია თევზაძე და მუსიკის პედაგოგი ლელა ბოხუა.

"თვალში სინათლე და სიცოცხლის ხალისი დამიბრუნეს"

ელენა ნადირაძე გომის მკვიდრია. 65 წლის ქალბატონს ბოლო დროს მხედველობის პრობლემა შეექმნა და სამტრედიაში კლინიკა "მედიპელფს" მიმართა. ოფთალმოლოგთან ვიზიტის შემდეგ შეიტყო, რომ ჰქონდა პტერეგიუმი, ანუ ბინდი თვალზე და შესაბამისად, დაქვეითებული მხედველობა.

ელენა ნადირაძემ მარჯვენა თვალზე პირველი ოპერაცია 4 მაისს ჩაიტარა. თბილისიდან მოწვეულმა ექიმებმა ალეკო ჩხარტიშვილმა და მირიან პარამელაშვილმა შუახნის ქალბატონს თვალზე პტერეგიუმი ამოკვეთეს, დაუნიშნეს მკურნალობა და სახლში გაწერეს.

შედეგით კმაყოფილი პაციენტი რამდენიმე დღის წინ კვლავ ეწვია კლინიკას და ექიმებს მეორე თვალიც ანდო.

ელენა ნადირაძე, გომის მკვიდრი: "ამ ადამიანებმა თვალში სინათლე და სიცოცხლის ხალისი დამიბრუნეს. თითქოს მეორედ დავიბადე. საოცრად გულისხმიერი და მაღალპროფესიონალი ექიმები შემხვდნენ. წარმატებით ჩატარდა ოპერაცია, რაც შედეგებზე აისახა. აქ არა მარტო კვალიფიციური ექიმები არიან, ისეთი გარემოა შექმნილი, ექიმიდან სანიტრამდე ყველა თავზე გვევლება. მადლობა მინდა გადავუხადო "მედიპელფის" ხელმძღვანელობას, ქალბატონ ქეთევან კაჭახიძეს და ბატონ იოსებ ახალაძეს ასეთი კარგი გუნდის შექმნისთვის".

მკითხველს შევახსენებთ, რომ სამედიცინო კლინიკა "მედიპელფი" 2017 წლის ბოლოდან მუნიციპალიტეტში წარმატებით ფუნქციონირებს. აქ სხვადასხვა პროფილის ექიმები არიან, ჰყავთ თბილისიდან მოწვეული სპეციალისტები. რაც შეეხება ოფთალმოლოგიურ ოპერაციებს, ისინი თვეში ერთხელ ადგილზე კეთდება.

ნინო ნანიტაშვილი

საუკუნის წინანდელი საქართველოს მაჯისცემა

ლევან გაბეჩავა

ჯერ კიდევ მიმდინარე 2018 წელი მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენით იყო დატვირთული. წლის დასაწყისში 100 წელი შესრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან. მაისში ზეიმით აღინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საუკუნოვანი იუბილე და ა. შ.

საიუბილეო ღონისძიებები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, გრძელდება მრავალფეროვანი აქტივობებითა და ღონისძიებებით...

საუკუნის წინადელი საქართველოს მაჯისცემა, მაშინდელი მნიშვნელოვანი ამბები, მოვლენები, ფაქტები გვსურს გავაცოცხლოთ მკითხველთა მეხსიერებაში, გავაცნოთ საზოგადოებას, თუ როგორ იდგამდა ფეხს, იმაგრებდა პოზიციებს ახალგაზრდა სახელმწიფო. ვიმედოვნებთ, ბევრ საინტერესოს შეიტყობთ წარმოდგენილი მასალებიდან.

ფინანსთა სამინისტროში შუამდგომლობა აღძრა კაპიტალისტთა ჯგუფმა, რომ მათ ნება დართონ ტფილისში სააქციონერო ბანკი გახსნან 5 მილიონი მანეთის თანხით.

***

ტფილისის თავდაცვა მიენდო გენერალ მაიორს ამხ. ახმეტელაშვილს, მის განკარგულებაშია ტფილისში მყოფი შეიარაღებული ძალები, როგორც წითელი გვარდია, ისე რეგულიარული ჯარები.

***

25 მაისს ტფილისში 18 000 ლტოლვილი ჩამოვიდა.

***

ქართველ მსახიობთა კავშირის დრამატული დასი ნაადგომევს დაბა-სოფლებისაკენ გაემგზავრება "არშინ მალ ალანის" წარმოსადგენად.

***

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, კვირას, დილის 11 საათზე ქართული უნივერსიტეტის დარბაზში (წყნეთის ქუჩა, ქართული გიმნაზია) დანიშნულია დამფუძნებელი კრება პირველი ქართული "საფილოსოფიო საზოგადოებისა." კრებაზე დასწრება ყველას შეუძლია.

***

სამტრედიიდან ნინიძე (კორესპონდენტი ლ.გ.) მიღებული ცნობებიდან გამოირკვა, რომ ყველა ბათომში დარჩენილი მოსამსახურე და მუშა იღებს ფულს ოტამანის მთავრობისგან, რადგანაც შეუძლებელია ორი მთავარობისგან ფულის მიღება. შევსწყვიტოთ ამიერკავკასიის რკინის გზიდან ფულის მიცემა, რომელსაც ბათომში ოსმალეთის მთავრობისაგან მოსამსახურეები ითხოვენ.

***

სასტიკად დაისჯებიან, დახვრეტითაც კი, ვინც საქართველოს მიწა-წყალზე რაიმე უწესობას მოახდენს, ბრძოლის ველიდან გამოიქცევა, მცარცველობას დაიწყებს, ანუ საქართველოს მთავრობის განკარგულებათ ეურჩება.

***

ქუთათურ მფრინავთა რაზმის უფროსის ცნობით, მარტვილის რაიონის ბოლშევიკები კინჩხაში გამაგრებულან. მათ ჰმესვეურობს ხონიდან ლტოლვილი აფიცერი ჭავჭანიძე, შტაბი მინგრელსკის სახლში აქვთ მოთავსებული.

***

29 მაისს დღის პირველ საათზე სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ კირიონ მეორემ თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდის, ურბნელ დავითს და თბილელ სამღვდელოების თანამწირველობით სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა სიონის ტაძარში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. პარაკლისის შემდეგ პატრიარქმა სამღვდელოების თანხლებით საქართველოს მთავრობას მიულოცა დიდი ისტორიული აქტი.

***

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 21 მაისს ექვთიმე თაყაიშვილს მისი სამეცნიერო ღვაწლის გამო და ქართული არქეოლოგიის წინაშე მისი 28 წლის მოღვაწეობის პატივსაცემად, ქართული არქეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიანიჭა. იმავე სხდომაზე საბჭომ დაადგინა, უნივერსიტეტში მეცადინეობა განაგრძონ 12 ივნისამდის.

***

ახალქალაქის მაზრაში ფაქტიურათ მამულები ჩამოერთვათ მემამულეებს და გადაეცათ გლეხებს მომავალი წლის პირველ იანვრამდე. მიწები ყველა დათესიალია. მამულების ფორმალურად ჩამორთმევა შეიძლება გადაიდოს ჭირნახულის აღებამდის.

***

საქართველოს ლაშქრის მთავარსარდლად დაინიშნა სამხედრო ვეზირის თანაშემწე გენერალ-მაიორი გ. ი. კვინიხიძე.

***

ჭიათურის შავი ქვის ფირმამ შუამდგომლობა აღძრა შრომის სამინისტროს წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინოს მუშაობის განახლების საქმეში.

***

ოსმალეთის ულტიმატუმის გამო ბათომს გაემგზავრა დელეგაცია ნ. რამიშვილის, გენერალ ქ. ოდიშელიძის, გ. გვაზავასა და გ. რეხლაძის შემადგენლებით.

***

ლტოლვილ გურულების სასარგებლოდ მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დღეს, ახალგაზრდა გურულების თაოსნობით გამართავენ დიდ სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

***

ინფორმაციები ამოკრებილია 1918 წლისათვის გამომავალი გაზეთებიდან: "საქართველო", "სახალხო საქმე", "ერთობა", "თეატრი და ცხოვრება".

ქართული სიტყვის თილისმა იოსებ ნონეშვილის შემოქმედებასთან ერთად

ჩვეულებრივად დაირეკა ზარი. გაკვეთილი დასრულდა! იმ დღეს საკმაოდ ცივოდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ეზოში ჩავსულიყავი.

დერეფანში საინტერესო სიტყვებს მოვკარი ყური _ მინდა გავაკეთო ღონისძიება იოსებ ნონეშვილის იუბილესთან დაკავშირებით და სად, თუ არა მეორე საჯარო სკოლაში.

ნათელა მასწავლებელს ყოველთვის უყვარს ღონისძიებებში ბავშვების წარმოჩენა. ამიტომ, რაღა თქმა უნდა, თანხმობა განუცხადა მოსულ სტუმარს.

მეც გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო. მეორე დღესვე ჩავედი ქალბატონი ნათელა ჯიმშელეიშვილის საკლასო ოთახში. პირველი, რამაც ჩემი გული გაახარა, იყო ის, რომ ოთახში შესვლისთანავე დავინახე ათამდე ბავშვი, ხალხის საყვარელი პოეტის და საქართველოში ერთ დროს ყველაზე პოპულარული კაცის, იოსებ ნონეშვილის ლექსებს რომ კითხულობდნენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ღონისძიების სულის ჩამდგმელი, თბილი, კეთილი ადამიანი, საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, ქალბატონი დალი კვირცხალია, რომელიც ყოველთვის იღვწოდა მომავალი თაობისათვის. მისი დაუღალავი შრომის გარეშე არაფერი გაკეთდებოდა. რეპეტიციის შემდეგ ყოველთვის გვესაუბრებოდა, მისი სიტყვები წიგნის წაკითხვის სურვილს აღძრავდა.

აღსანიშნავია ღონისძიებაში, რომელსაც "ქართული სიტყვის თილისმა" ერქვა, მონაწილე მოსწავლეების აქტიურობა. მასში მონაწილეობას მოსწავლეები მესამე კლასიდან დაწყებული, მეთერთმეტე კლასის ჩათვლით იღებდნენ. ანი ვაჩეიშვილი, ეთერ ცხვარაძე მე-11 კლასი, ანი დუნდუა მე-3 კლასი, შოთა ვაშაკიძე, მარიამ ფილიშვილი, სალომე ბენიძე, ცისია ხურცილავა მე-9 კლასი, ლელა ცხვარაძე, ეთერ ლოპატინი, გიორგი ვაჩეიშვილი მე-6 კლასი. სალომე აბრამიშვილი მე-5 კლასი, ნათია ვაშაკიძე მე-7 კლასი. ლელა ცხვარაძემ და სალომე აბრამიშვილმა მშვენივრად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას და შეასრულეს იოსებ ნონეშვილის ლექსებზე დაწერილი სიმღერები.

არაფერი არ იქნებოდა ჩვენი მეგობრისა და დამრიგებლის, ნათელა ჯიმშელეიშვილის გარეშე, რომელმაც დაუღალავად იშრომა, დიდებულად მოგვამზადა და გააუმჯობესა ჩვენი მეტყველება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ლამარა დუნდუა. სამტრედიის კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე, საკრებულოს წევრი _ ლიზა კრავეიშვილი, მეორე საჯარო სკოლის დირექტორი თეა კარტოზია, ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მშობლები.

საღამომ დიდებულად ჩაიარა. ეს დღე ყოველთვის მემახსოვრება, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, ჩემს ცხოვრებაში.

ირმა გერაძე

სამტრედიის მეორე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ნატრიუმის ჰიდროკარბონატი, იგივე სოდა, ყველას სჭირდება

საკვები სოდა უნივერსალურია. მას არა მხოლოდ გაზქურის და ჭუჭყიანი ჭურჭლის გარეცხვა შეუძლია, არამედ მთელ რიგ არასასიამოვნო დაავადებასაც კურნავს. რატომ უნდა დავლიოთ სოდა და რა სარგებელი მოაქვს მას?

აღადგენს მჟავა-ტუტოვან ბალანსს

არასწორი ცხოვრების წესის და არეული კვების რეჟიმის გამო, ადამიანებს აციდოზი, მჟავა-ტუტოვანი ბალანსის რღვევა ემართებათ. ის იწვევს გულძმარვას და სხვადასხვა ბაქტერიების გამრავლებას უწყობს ხელს, რომლებიც გასტრიტს წარმოქმნიან. დილით მიღებული სოდა გასტრიტის პროფილაქტიკისთვის საუკეთესოდ გამოდგება.

აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას

სოდა ასუფთავებს კუჭ-ნაწლავს, გამოდევნის მისგან ტოქსინებს, აწესრიგებს მეტაბოლიზმს. მისი მეშვეობით ქსოვილი ივსება ჟანგბადით.

გეხმარებათ გახდომაში

ბევრი ადამიანი ცდილობს ზედმეტი წონისგან განთავისუფლებას და მათ გაეხარდებათ, რომ ამ ბრძოლაში ჩვეულებრივი სოდა დაეხმარებათ. სოდიანი წყლის მიღება მადიანობას ამცირებს და ცხიმებს ხლეჩს. ამასთან, ის მსუბუქად გამოდევნის მავნე საშუალებებს, რაც ზედმეტი წონის მოშორებასაც უწყობს ხელს. გაწმენდილი ორგანიზმი საკვებს უკეთ გადაამუშავებს, რაც გახდომას იწვევს.

გეხმარებათ ონკოლოგიის თავიდან აცილებაში

ეს უბრალო თეთრი ფხვნილი ორგანიზმის დაცვით ფუნქციებს ააქტიურებს და სიმსივნის წარმოქმნას უშლის ხელს.

აუმჯობესებს ორგანიზმის მდგომარეობას

სოდის მიღების კურსი ორგანიზმზე დადებითად აისახება. ნატრიუმის ჰიდროკარბონატის მიღებას სასარგებლო გავლენა აქვს ლიმფურ სისტემაზე, აძლიერებს იმუნიტეტს. მსუბუქი წმენდის შემდეგ, ორგანიზმის ყველა სისტემა ისე იმუშავებს, როგორც საჭიროა.

ეფექტური შედეგისთვის, პროდუქტი სწორად უნდა მიიღოთ: ნახევარი ჩაის კოვზი სოდა 1 ჭიქა თბილ წყალში გახსენით. მიიღეთ საუზმემდე. 3 დღე სვით, 3 დღე შეისვენეთ.

ბევრი დიეტოლოგი გვირჩევს სოდის მიღებას. ამ თერაპიის დროს სასურველია შემწვარი საკვები არ მიიღოთ. როგორც ნებისმიერ სამკურნალო საშუალებას, უკუჩვენება შესაძლოა სოდასაც ჰქონდეს. კონკრეტული დაავადებებისას მისი მიღება მიზანშეწონილი არაა. მაგალითად, შაქრიანი დიაბეტი, წყლული, გასტრიტი.

ორსულ და მეძუძურ დედებს სოდა ეკრძალებათ.

GENIUS.GE

წონაში დასაკლებად ძილის წინ კეფირს კბილი ნიორი დაუმატეთ

ყველასთვის ცნობილია, რომ ნივრის მიღებისას სხვების მსგავსად, წელიწადის ცივ სეზონზე არასდროს გაცივდებით. ეს პროდუქტი საკმაოდ სასარგებლოა, ის ვირუსებს აქტიურად ებრძვის, თუმცა, მისი მეშვეობით გახდომაც შესაძლებელია.

კეფირი ნივრით

კვლევამ აჩვენა, რომ ალიცინი, რომელსაც ნიორი შეიცავს, მადიანობას ამცირებს. არსებობს სხვა მახასიათებლებიც, რომლებიც ნიორს გახდომისთვის ეფექტურს ხდის, ის სისხლში შაქრის დონეს არეგულირებს, სისხლის მიმოქცევას აჯანსაღებს, ცუდ ქოლესტერინს ებრძვის და კარგის ათვისებას ეხმარება. ადამიანებს, რომლებიც ჭარბი წონისგან იტანჯებიან, ადრენალინის გამომუშავების პროცესი დარღვეული აქვთ, ნივრის რეგულარული მოხმარება კი ამის დალაგებაში დაგეხმარებათ. საოცარი სასმელის მეორე კომპონენტი კეფირია. ყველამ იცის თუ რამდენად სასარგებლოა ეს პროდუქტი. ბევრი დიეტოლოგი მის მიღებას ყოველდღე გვირჩევს. ამ მარტივი პროდუქტის მეშვეობით ადვილად დაიკლებთ წონაში, ხოლო ნივრის დამატების შემთხვევაში პარაზიტებისაგან განთავისუფლდებით. ყველაფერთან ერთად, გაიუმჯობესებთ იმუნიტეტს.

მათი შეხამება ორგანიზმს დიდ სარგებელს მოუტანს. ღამით მიღებული ნიორი კეფირით, იმუნიტეტს გააძლიერებს. მსგავსი მსუბუქი ვახშამი ღრმა ძილის გარანტიაა, უძილობისგანაც გიხსნით და გახდომაშიც დაგეხმარებათ.

ამ სასმელს შესაძლოა უკუჩვენებაც მოჰყვეს. თავად კეფირი ნივრით ცხიმებს არ წვავს, გახდომა კუჭ-ნაწლავის გასუფთავების და მადიანობის შემცირების ხარჯზე მიმდინარეობს. ამასთან, შეშუპებისგანც გიხსნით.

იმისთვის, რომ მოამზადოთ სასმელი გასახდომად, დაჭყლიტეთ ნივრის კბილი და დაამატეთ 1 ჭიქა კეფირს. მიღებული მასა დამზადებისთანავე უნდა დალიოთ. შესაძლებელია ნიორი და კეფირი ბლენდერში აურიოთ, კარგად აირევა და უფრო გემრიელიც იქნება. მისი დალევა ყოველ საღამოს, ძილის წინაა საჭირო, სასურველია ვახშმის ნაცვლად. ეს სასმელი გვეხმარება მოვიშოროთ პარაზიტები, რომლებიც ხშირად ზედმეტი წონის მიზეზიც ხდებიან. მოკლედ, მისი მეშვეობით მოახერხებთ გახდომას და ორგანიზმის სრულად გასუფთავებას. 1 თვის განმავლობაში მიღების შემდეგ, სავარაუდოდ 6-7 კილოგრამს დაიკლებთ.

არ იქნება ცუდი, თუ სასმელს ფიზიკურ დატვირთვას და სწორ კვებასაც დაუმატებთ. ჩვენი ორგანიზმი ცბიერია, მხოლოდ ერთი რამ ხშირად არ ჰყოფნის. ამიტომაც შეამცირეთ მავნე პროდუქტები და ცოტა ფიზიკურადაც დაიტვირთეთ. ეს ყველაფერი შედეგს გამოიღებს.

GENIUS.GE

„ცხიმოვანი" დიეტა სხვა დიეტებზე ბევრად ეფექტურია

ჭარბი წონის მოსაშორებლად ქალები მიმართავენ დაბალცილოვან ან დაბალნახშირწყლოვან დიეტებს, რომელთა შედეგიც მაქსიმუმ ხუთი კილოგრამის მოშორებაა. არცთუ ისე იშვიათად, ქალის ორგანიზმი მსგავს დატვირთვებს ვერ უძლებს და ხდება დაკარგული კილოგრამების ჭარბი რაოდენობით ანაზღაურება.

კამათი თევზის ქონის სწორი დოზირების შესახებ დღემდე გრძელდება, მაგრამ აუცილებელია ოქროს შუალედის დაცვა. თუ შენი ზედმეტი წონა არ აჭარბებს თხუთმეტ კილოგრამს, შეიძლება ერთი ან ორი გრამი თევზის ქონის გამოყენება დღეში ორჯერ. თუ ჭარბი წონა აღემატება ხსენებულ ციფრს, დოზირება არ უნდა იყოს დღეში ხუთ-ექვს გრამზე მეტი.

თევზის ქონი გახდომისთვის:

საუზმე: შეგიძლიათ მანის გარდა ნებისმიერი ფაფის მომზადება.

სადილი: თავდაპირველი ვარიანტი უნდა იყოს ბოსტნეულის სუფი, მეორე კი _ მოხარშული თევზი ან ქათამი გარნირი.

სამხარი: ამ დროს საუკეთესოა ხაჭო, არატკბილი იოგურტი ან სალათი.

ვახშამი: უკეთესია მოამზადოთ მოთუშული ბოსტნეული, ომლეტი ან ნებისმიერი რძიანი კერძი თქვენი გემოვნებით.

საღამოს მსუბუქი კვება: ერთი ჭიქა კეფირი ან მაწონი.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ თევზის ქონის უზომოზე გამოყენებამ შეიძლება კუჭ-ნაწლავის სისტემის ან საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დარღვევები გამოიწვიოს. ასევე ეს პროდუქტი აუცილებელია მივიღოთ მცირე კურსებით: ყველაზე ხანგრძლივად ოცი ან ოცდახუთი დღის განმავლობაში, ოთხ თვეში ერთხელ.

GENIUS.GE

როგორ აღმოვაჩინოთ კიბო ადრეულ სტადიაზე: რეკომენდაციები, რომლებიც სიცოცხლეს გადაარჩენენ



კიბოს მკურნალობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მის ადრეულ დიაგნოსტიკაზე.

კიბოს ნიშნები ადრეულ სტადიაზე:

1. ორმოცი წლის შემდეგ ქალებმაც და მამაკაცებმაც უნდა ჩაიტარონ სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს სერიოზული პრობლემების შესაძლო არსებობას. მაგალითად, თუ ანალიზში ჰემოგლობინის მაჩვენებელი დაქვეითებულია, ექიმი მიზეზის ძიებას იწყებს: სისხლდენა ნაწლავიდან ან კუჭიდან, შესაძლო წყლული, ან სიმსივნე.

2. ორმოცდაათ წელს მიღწეულმა მამაკაცებმა ყოველწლიურად უნდა ჩაიტარონ პროსტატის გამოკვლევა და ჩააბარონ ანალიზი პროსტატის სპეციფიურ ანტიგენზე.

3. ორმოცი წლის ზემოთ ქალებმა, თუნდაც წელიწადში ორჯერ, უნდა ჩაიტარონ პროფილაქტიკური მამოგრაფია. წელიწადში ერთხელ კი გაესინჯონ გინეკოლოგსა და მამოლოგს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქალებში არის ნაცხის ანალიზი პაპილომა ვირუსზე, რომელიც საშვილოსნოს ყელის კიბოს ძირითადი გამომწვევია.

4. ორმოცდაათი წლიდან ქალებმაც და მამაკაცებმაც ყოველწლიურად უნდა ჩაიტარონ გასტროსკოპია და კოლონოსკოპია, ეს ნაწლავებში პოლიპების არსებობის პრევენციაა. ასევე რეკომენდირებულია განავლის გამოკვლევა ფარული სისხლდენის დიაგნოსტირებისთვის _ კოლორექტარული კიბოს დროულად აღმოსაჩენად.

5. თუ გენეტიკური ისტორია დამძიმებულია ონკოლოგიური დაავადებებით, კონსულტაციისთვის უნდა მიმართოთ გენეტიკოსს. ის მოგცემთ მიმართულებას განსაზღვრული გენეტიკური სკრინინგისთვის.

6. ყოველწლიურად მოინახულეთ დერმატოლოგი, კანის გამოკვლევის მიზნით საეჭვო წარმონაქმნების არსებობის დასაფიქსირებლად.

ზოგადად, უნდა იყოთ ყურადღებიანი საკუთარი სხეულის სიგნალების მიმართ. შეკრულობა, ფეკალური მასის ნებისმიერი ცვლილება.

მაგალითად, სისხლის კვალი ტუალეტის ქაღალდზე, მკერდის გამკვრივება ქალებში, ხალების გაჩენა ან არსებულის სწრაფი ზრდა ზომაში. ყველაფერი ეს არის სიგნალები, რომელთა გამოც დაუყოვნებლივ უნდა მივაკითხოთ ექიმს.

GENIUS.GE

ისევ მცივა...

საქართველოვ, დედავ ჩემო,
შენი ჭირთა თმენა მტკივა!
შენთვის მლოცველს, შვილთა შენთა
ერთი წვეთი ცრემლიც მტკივა.
სამშობლოსთვის თავგანწირულ,
მზეჭაბუკთა სული მტკივა.
მათი ჩამწვარ-ჩაფერფლილი
ტკბილი ოცნებები მტკივა.
დედა მტკივა შავლეჩაქა,
ცალუღელა ქალი მტკივა,
მტკივა ობოლი ბავშვები,
დაცა მტკივა, ძმაცა მტკივა.
შენი მავთულხლართულებით
დაგლეჯილი მიწა მტკივა,
გაზაფხულის მომლოდინეს,
მცივა... მცივა... მცივა... მცივა...
საქართველოვ, დედავ ჩემო,
მე ბევრი რამ სხვაცა მტკივა,
შენი ტურფა წალკოტიდან,
შვილთა გადინება მტკივა.
და იმ ''გარეთ'' გასულთაგან,
ზოგთა თავლაფდასხმა მტკივა,
უკან არდაბრუნებულთა,
გული სიცივითა მტკივა.
''იქ'' ჩარჩენილ შვილთა შენთა
სისხლის აღრევაცა მტკივა,
თუმცა ''შინ'' დარჩენილ ზოგთა
''ზესვლისაკენ'' სწრაფვაც მტკივა.
საქართველოვ, დედავ ჩემო,
მე ბევრი რამ სხვაცა მტკივა,
მზის ამოსვლის მომლოდინეს
ისევ მცივა... მცივა... მცივა...

მარინა გოზაძე

საქართველოს სუპერთასს ქუთაისი დაეუფლა

საქართველოს თასის მოქმედი მფლობელი ქუთაისის საკალათბურთო კლუბი ''ქუთაისი'' ლეგენდარული ქართველი კალათბურთელისა და მწვრთნელის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ოთარ ქორქიას სახელობის საქართველოს სუპერთასის გამარჯვებული გახდა.

გუნდმა 12 დეკემბერს თბილისის ახალ ოლიმპიურ სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრაში ანგარიშით 75:67 დაამარცხა ქართული კალათბურთის ფლაგმანი და საქართველოს მოქმედი ჩემპიონი თბილისის ''დინამო''.

შესვენების დროს, გასული სეზონის საუკეთესო მწვრთნელი, თბილისის ''დინამოს'' მთავარი მწვრთნელი, ჩვენი ქალაქის მკვიდრი ირაკლი ხოშტარია, ლეგენდარული ქართველი მწვრთნელისა და სპეციალისტის გიორგი ავალიშვილის სახელობის პრიზით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა დააჯილდოვა.

საქართველოს სუპერთასის მოგებას ვულოცავთ ქალაქ ქუთაისის კალათბურთელთა გუნდს, ხოლო ჩვენს თანაქალაქელ ირაკლი ხოშტარიას საუკეთესო მწვრთნელისათვის განკუთვნილი პრიზით დაჯილდოებას.

ჩემპიონთა ლიგა

გაიმართა უეფას ჩემპიონთა ლიგის 2018-2019 წლების სეზონის ჯგუფური ეტაპის დასკვნითი მე-6 ტურის მატჩები ფეხბურთში, გამოვლინდნენ მერვედფინალისტები.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:

11 დეკემბერი
მონაკო _ დორტმუნდი 0 : 2
ბრიუგე _ ატლეტიკო 0 : 0
ინტერი _ პსვ 1: 1
ბარსელონა _ ტოტენჰემი 1 : 1
ცრვენა ზვეზდა _ პსჟ 1 : 4
ლივერპული _ ნაპოლი 1 : 0
შალკე _ ლოკომოტივი 1 : 0
გალასათარაი _ პორტუ 2 : 3
12 დეკემბერი
ბენფიკა _ აეკ 1 : 0
აიაქსი _ ბაიერნი 3 : 3
სიტი _ ჰოფენჰაიმი 2 : 1
შახტარი _ ლიონი 1 : 1
პლზენი _ რომა 2 : 1
რეალი _ ცსკა 0 : 3
ვალენსია _ მანჩესტერი 2 : 1
იანგ ბოიზი _ იუვენტუსი 2 : 1

მერვედფინალში გავიდნენ:

დორტმუნდი, ატლეტიკო, ბარსელონა, ტოტენჰემი, პსჟ ლივერპული, პორტუ, შალკე, ბაიერნი, აიაქსი, სიტი, ლიონი, რეალი, რომა, იუვენტუსი, მანჩესტერი.

იურამ ნიკოლეიშვილი

ჩვენ მეგობრები ვიყავით

ანზორ გრიგოლიას ხსოვნას

დიახ, ზღვარდაცული მეგობრობა გვაკავშირებდა მაშინ უფროსი და უმცროსი ასაკის კოლეგებსა და თანამშრომლებს ერთმანეთთან. მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ყველას იმედი და გზამკვლევი, კეთილი მრჩეველი იყავით. არ გიჭირდათ სხვათა ნიჭის აღიარება, პასუხისმგებლობის ეტალონადაც კანონიერად იყავით მიჩნეული ღირსეული მშობლების შვილი, სანაქებო ოჯახის თავკაცი, რაიონის სინამდვილეში პირველი დიპლომირებული ჟურნალისტი, კრისტალურად პატიოსანი კაცური კაცი. ახლა სხვა დროა ''პეტროვიჩ'', საყოველთაო ბოღმამ, შურმა, გაუტანლობამ, გათითოკაცებამ მოიცვა ყოველივე და, ჩვენს არცთუ დიდ კოლექტივსაც თავსატეხი გაუჩინა. ამ დღეებში თქვენი დაბადების დღე იყო, 19 დეკემბერი. 15 წელია რაც ჩვენთან არა ხართ, თუმცა, ისევ გვახსოვხართ და გვეამაყებით. ნათელში იყავით.

ლევან გაბუჩავა

ვაჟა ტერელაძის გახსენება

ძნელზე ძნელია მოგონება დაწერო ადამიანზე, ვისთანაც ნახევარსაუკუნოვანი თბილი ურთიერთობები გაკავშირებდა.

კაცურკაცობითა და მეგობრობის გრძნობით გამორჩეულს არასოდეს შეგშლია თეთრისა და შავის გარჩევა. შენ და შენისთანებს მიესადაგება სწორედ თითქოსდა ყავლგასული სიტყვები: ჩვენთან იყავი და სიცოცხლეს გვილამაზებდი, გარდაიცვალე და სიკვდილი გაგვიადვილე.

მშვიდად იძინე შენს სამარადისო სამყოფელში, ჩვენო ძვირფასო ადამიანო, ჩვენო ვაჟა.

მერაბ არჩვაძე ოჯახით

საზოგადოება ''სამტრედიელი'' თანაუგრძნობს საზოგადოების თავმჯდომარეს, ტატა გოგუაძეს

ბიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ტატა გოგუაძეს

ბიძის

გარდაცვალების გამო.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექ-პერსონალი თანაუგრძნობს ტატა და ნათია გოგუაძეებს ბიძის, ბატონი

ავთანდილ (ბუჭუნა) გოგუაძის

გარდაცვალების გამო.

ავოკადოს კურკით თირკმელი თავისუფალია

გაგახარებთ და გეტყვით, რომ ავოკადოს ერთ კურკას თირკმლის კენჭისგან განთავისუფლება, საკვების მომნელებელი სისტემის გაუმჯობესება და სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირება შეუძლია.

ავოკადოს კურკა

ავოკადოს კურკის ხელში ჭერისას პირველი, რაც თავში მოგვდის, მისი დამარხვა და ხის გაზრდის მოლოდინია. თუ მოთმინება გყოფნის, სახლის პირობებშიც მიაღწევ იმას, რომ მცენარე გაიზარდოს. მათ ვისაც კურკა გასინჯული აქვს, ეცოდინება რომ მისი გემო არც ისე კარგია. კურკა დიდი რაოდენობით ტანინს შეიცავს, რომელიც დიდი დოზით შესაძლოა ტოქსიკური იყოს. ასევე, კურკაში შემავალმა ტოქსინმა შესაძლოა შინაურ ცხოველებს ავნოს.

მეორე მხრივ, ავოკადოს მარცვალი კალიუმითა და ფოსფორით მდიდარია. ასევე საპონინით, რომელიც ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს და ადამიანის ორგანიზმს ''ცუდ'' ქოლესტერინს აშორებს. ავოკადოს კურკაში შემავალი ნივთიერებები კიბოსთან ბრძოლის ერთ-ერთი კარგი საშუალებაცაა.

იმისთვის, რომ გვერდითი მოვლენები თავიდან აიცილოთ, იგი სწორად უნდა მოამზადოთ. კურკა მიღებამდე ყავისფერი ზედაპირისგან უნდა გაანთავისუფლოთ და გააშროთ. შემდეგ ღუმელში დაბალ ტემპერატურაზე 1 საათის განმავლობაში გამოაცხოთ. კურკამ ოქროსფერ-წითელი შეფერილობა უნდა მიიღოს.

ავოკადოს მარცვლების სასარგებლო ხასიათი

სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები

ავოკადოს კურკები სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდებიან. მათი არსებობა ფლავონოლის შემცველობით იხსნება.

ბუნებრივი ანტიბიოტიკია

ბრაზილიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ავოკადოს კურკის სიროფი სოკოვან ინფექციებს კლავს.

საკვების გადამმუშავებელი სისტემისთვის სასარგებლოა

ამერიკელი ინდიელები ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ იყენებდნენ ავოკადოს კურკებს ამ მიზნით.

ანტიოქსიდანტების წყაროა

ავოკადო ანტიოქსიდანტების მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება და არამარტო როგორც ხილი, არამედ როგორც კურკა. 2003 წელს სინგაპურელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ავოკადოს კურკა, ისევე როგორც მანგოს მარცვლები, თავისუფალ რადიკალებთან მებრძოლ ნივთიერებას შეიცავენ.

ქოლესტერინის დონეს ამცირებს

კურკის შემცველობაში შემავალი ნივთიერებები კუჭ-ნაწლავის არეში მავნე ცხიმებს ებრძვიან. ავოკადოს კურკა სასარგებლოა სახის გამონაყარისთვის, ცხიმიანი თმისა და კანისთვის, ქერტლისთვის. გამოიყენება სკრაბების და სახის ნიღბების შესაქმნელად.

კიდევ ერთი ორიგინალური ხერხი მოსართავებისა და სუვენირების შექმნაა. ხელოვნება საშუალებას გვაძლევს ჩვეულებრივ ნივთებს სხვანაირად შევხედოთ.

სხვადასხვა ფიგურების შესაქმნელად გამოიყენება ის, რასაც ბევრი ადამიანი აგდებს.

რეცეპტი თირკმელსა და ნაღვლის ბუშტში კენჭის განსაკურნად

ამ რეცეპტის სამშობლო ინდოეთია. მისი სიმარტივე და რეალური ეფექტურობა სასიამოვნოდ გაგაოცებთ.

ინგრედიენტები

1 ავოკადოს კურკა
200 მლ თბილი წყალი

მომზადების ხერხი

გაასუფთავეთ კურკა ყავისფერი გარსისაგან და გააშრეთ.

წვრილ ნაჭრებად დაჭერით და ბლენდერში მოათავსეთ.

მიღებული მასა წყალში გახსენით, მიღებული ფხვნილი ოთხად უნდა გაყოთ.

სასმელი დღეში მხოლოდ ერთხელ უნდა მიიღო, სჯობს ღამით, ძილის წინ.

GENIUS.GE

ამ დღეებში გულთან დაკავშირებული პრობლემის გამო უცაბედად აღმოვჩნდი ჯეო-ჰოსპიტალსის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში. მინდა ჩემდამი გამოჩენილი გულისხმიერებისა და ყურადღების გამო უდიდესი მადლობა მოვახსენო ექიმ-რეანიმატოლოგ ეთერ სტურუას, ექიმ-კარდიოლოგ ნუნუ აბრამიას და მთელ მედ-პერსონალს.

ტარიელ თვალჭარაძე

"ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის ფილიალის მთავარ ექიმს, ბატონ ირაკლი ლაღიძეს, ქირურგიული განყოფილების მედპერსონალსა და ქირურგ ნუკრი ფახურიძეს, მადლობას ვუხდით დიდ პროფესიონალიზმით ჩატარებული ოპერაციისა და ჩვენდამი გამოჩენილი მზრუნველობისათვის.

ზანიკვეზის ოჯახი

ტურასავით რომ დაძვრები
მელიებში, მგლებში,
ხელის მოჭრა არ გიშველის,
გადაგამტვრევ ძვლებში.

ვულოცავთ!



დიანა ნიკოლეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადო ასპარეზზე.

უფალმა გაგაძლიეროთ შენ და შენი ოჯახი.

"სამტრედიის მაცნე"

ჩაცოცხლეთ ბავშვები და ჩოჯოხ დაჯაძინოთ მარტივად

პატარების ტირილი ეს არის უნივერსალური მოვლენა. კვლევის მიხედვით დანიაში, გერმანიასა და იაპონიაში ყველაზე მშვიდი ჩვილები არიან. მეორეს მხრივ პატარები დიდი ბრიტანეთიდან, კანადიდან და იტალიიდან უფრო მეტს ტირიან, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. რატომ ხდება ეს? ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მშობლების ზრუნვის მეთოდები, კვება და ა. შ.

ბავშვის ტირილი გამოწვეულია ორსულობის გამოცდილებაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი, ასევე დამოკიდებულია გენეტიკაზე.

დანიელი ბავშვები ნალკებს ტირიან იმის გამო, რომ მშობლებს არ უწევთ ნერვიულობა ფინანსურ საკითხებზე და მათ უფრო დიდი დრო რჩებათ თავიანთ პატარებთან გასატარებლად. როდესაც ბავშვები ტირიან, ეს თქვენს ხასიათზე მოქმედებს. არ უნდა მისცეთ უფლება თავს, ამან გაგაღიზიანოთ.

რამდენიმე რჩევა რათა, ბავშვი დავამშვიდოთ ტირილის დროს

აიყვანეთ ხელში და მშვიდად ამოძრავეთ. მოასმენინეთ მშვიდი სიმღერა ან თქვენ უმღერეთ. მიეცით საწოვარა. თავი დაადებინეთ თქვენს მკლავზე.

მარტივი გზა პატარას დასაძინებლად

ბავშვის დაძინება მარტივი არ არის, მაგრამ ბევრი მშობელი ამას მარტივად ახერხებს. მოეფერეთ პატარას ნაზად სახეზე და ტანზე, ჩასჩურჩულეთ რომ დაიძინოს და ეს მეთოდი იმუშავებს. ყოველ დღე ერთი და იმავე დროს დააძინეთ თქვენი პატარა. აბანავეთ მანამ, სანამ დააძინებთ. თუ პატარა ჭირვეულობს, არ იძინებს და ტირის, ეს ნიშნავს რომ მას გაზები აწუხებს. ჩაუტარეთ მარტივი ვარჯიშები ფეხების მოძრაობით.

როგორ უზრუნველვყოთ პატარას უსაფრთხო ძილი

სეირნობისას ბავშვი ჩასვით ეტლში. მათ არ უნდა ეძინოთ დივანზე, მშობლების საწოლში და სხვა შეუსაბამო ადგილას. უნდა ეძინოთ ზურგით. დააწვინეთ რბილ მატრასზე, სათამაშოების, ბალიშების და სხვა საგნების გარეშე. პატარს უნდა ეძინოს თქვენს ოთახში, ოღონდ არა თქვენს საწოლში. მიეცით საწოვარა ძილის პროცესში. არ მოწიოთ სიგარეტი იმ ოთახში, სადაც პატარს ძინავს.

GENIUS.GE

ფოტო ისტორიას ჰყვება

ჩვენი გაზეთის დიდი მეგობარი, რედაქციის სასურველი სტუმარი, ჭადრაკში ეროვნული ოსტატი, ბატონი მერაბ არჩვაძე გვეწვია რედაქციაში და ერთი ფოტოც გვაახლა, 40 წლის წინ გადაღებული. "ყოფილ საკონსერვო კომბინატთან არსებული საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს, საზოგადოებრივ საწყისებზე (უფასოდ) ამეცადინებს ახალგაზრდა ჩემპიონი, აღსაზრდელთა მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე მერაბ არჩვაძე, 1978 წლის თებერვალი". ასეთი მინაწერი გაუკეთებია მის მიერვე გადაღებულ ფოტოზე ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტს, ბატონ რომან ბექაიას.

ვიმედოვნებთ, ფოტოზე ბევრი საკუთარ თავს ამოიცნობს და კმაყოფილნიც დარჩება.

ლევან გაბეჩავა

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა